

375 / 24
1895

საქართველოს
საზღვროთმცნ

№ V



1895

უტრნალი „ჯეჯილისა“

| | | |
|------|---|----|
| I | აი გახედე ძირს ცისას ლექსი—გ. აბაშიძის | 3 |
| II | პატარა მარო (სოფლის ცხოვრებიდან)—ედიკასი | 6 |
| III | კოკლი ბატი (აზრი რუსულიდან)—აღ. ბაჩნაჯისა | 13 |
| IV | პაპა საბა—ბახინასი | 21 |
| V | საშინელი ღამე (ფრანგულიდან გადმოკეთებული) ე—კასი | 24 |
| VI | ფელამუში ამბავი—ჰანტენ გოთუასი | 29 |
| VII | თ. რაფ. ერისთავი | 42 |
| VIII | უზარ-მაზარი ცხოველები. სპილო და მისი ჭკვა-გონება (დასა- სრული)—იდიკასი | 45 |
| IX | წყარო—ან—ნა—სი | 50 |
| X | პეპელა (ნათარგმნი)—მისივე | 54 |
| XI | გულ-წრფელი თედო—(ფრანგულიდან გადმოღებული) | 58 |
| XII | ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსი, აკროსტიხი, შარადა რებუსი და სხვა | 60 |



ჯ ე ჯ ი ლ ი

ს ა მ მ ა წ ვ ი ლ ო ნ ა ხ ა ტ ე გ ი ა ნ ი

ქ უ რ ნ ა ლ ი

4068

იზარდუ, მწკანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანო!..
ი. დ.

№ V

წ ვ ე ლ ი წ ა დ ი მ ე ა მ მ ა წ ვ ე



ტ უ ი ლ ი ს ი

სტამბა გ. დ. როტინიანცისა ||| Тип. М. Д. Ротинианца. Гол. пр., д. № 41.
1895.

Дозволено цензурою Тифлисъ, 11-го Октября 1895 года

აი, გახედე ძირს ცისას

I.



ასჭექა, დაიგრიალა,
მიმოეფინა წყვედიადი,
სამარის ბნელათ შესცვალა
მზემ თვისი სახე დიადი;
ლამაზს ქვეყანას ცათ ქალის
ზგ რისხვა გადმოველინა,
წვიმს, ელავს, მეხთა გრილის
ისმის საშიში „ნანინა“,
გლოვისა ზარსა ჰკენესიან
ხევ-ხუენი ბნელნი, კლდიანნი,
ცრემლის ღვრით ეთხოვებიან
სიცოცხლეს ვარდნი, იანნი;
გრივალი გააფთრებული
ხეებს თხრის ირგვლივ ძირიან,—
ფრინველნი შეშინებულნი
ფულუროებში ტირიან;
ზეცა ძაძვებით იმკობა,
თავს სამგლოვს სუდარს ადარებს,
თან ცრემლს ჰღვრის—მიწა ირჩობა...
აწ რალა გამოადარებს?!

II.

შემკრთალი, წითელ-პერანგა
პატარა ლევან სირბილით
თავის დედასა მიეარდა,

შესჩივლა მოთქმა-ტირილით:
 — დედიკო! მცია, ვკანკალებ,
 ჰა, დამილურჯდენ ხელები,
 კბილს-კბილზე ველარ ვაკარებ,
 გადმომწვიმს ცხარე ცრემლები,
 ყურებზე ცეცხლი მედება,
 სუსხმა ამომწვა თვალები..
 დედიკო! ლევან გიკედება,
 გამათბე, გენაცვალები!
 — ნუ გეშინია! — სიცივე
 აწ ველარ შემოგებდავსა,
 გავთბებით, შეილო, ორივე,
 ნუ მოუკედები დედასა!
 — ჭექს, დედავ, ირგვლივ ბნეოდება.
 მზეს ველარ ვხედავ ცაზედა,
 სეტყვა და წვიმა ერთდება,
 მაშინებს მენი ძალზედა!..
 — დამშვიდდი, შეილო, ავლარი
 ბევრჯერ გვესტუმრა წინეთა,
 მაგრამ კვლავ ღართ ბაღნარი
 დასტკბა — და მოვილხინეთა.
 — მაშ მენი აგეშორდებიან
 და კიდევ გამოიდარებს?
 ჩიტები ამღერდებიან,
 მზე სხივებს გადმოგვაფარებს?
 კიდევ გადვირბენ მთას და ბარს,
 დაეკრებ ვარდას და იასა
 და კიდევ ვესვრი ჩიტს ისარს
 ლურსმიანს, ბატის ფრთიანსა?
 — ჰო, შეილო!.. დასტკბი, იმღერე
 თან შევევდრე ღეთისმშობელს,
 პირჯვარი გადაიწერე,
 ის აღმოგიჩენს საფარველს!..
 აი, გახედე ძირს ცისას
 რა ცეცხლის ალი ავლია,

მზისგან დაჯაბნას აედრისას
 აღარაფერი აკლია:
 ცელქი მზის სხივი ჩუმად სწევს
 ცისა ბნელს, გლოვის ს:ფარსა,
 გზასა უკაფავს, უმშვენებს
 დღისა დიდებულს ლამპარსა;
 ის კვლავ გეპირდება გათბობას,
 მორთვას, მოკაზმას ფერადა,
 იგი გადაქმნის ჩვენს გრძნობას
 სამუდამ-ქამო მღერადა;
 ცა ღეთისა მადლსა დასახავს,
 მიწა ეშნს სანეტაროსა,
 გული სიამეს ჩაირგავს,
 რომ სულმაც გაიხაროსა,
 მთა და ველს გადინავარდებ,
 ახავერდებულს, მზიანსა
 და მაშინ, შეილო, დაგიკრებ
 ნობათად ვარდს და იასა!..

III.

ლევანმა გულის ძვერითა
 რა მოუსმინა დედასა,—
 ცას მიაშტერდა მღერითა
 და ეჭა, მზის სხივს ხედავსა!
 ცრემლი მოადგა თვალზე ჩვილს,
 თან კი ხით-ხითებს გულითა;
 გადაეხვია დედა შვილს
 სიამით, სიხარულითა;
 აღარ შეუკრთენ მესს, წყვილადს,
 ორნიც ამაღლდენ სულითა
 და მეორე დღეს მზე-ღიადს
 შეჭხარეს სიყვარულითა!..

პატარა მარო

(სოფლის ცხოვრებიდან)



მარო, გენაცვალოს დედა, დღე-ისწორს სომ შენი დღეობას! აბა, ამოიწიე, მითხარი, რა საჩუქარი გინდა! — სიუვარულით ეუბნებოდა ახალგაზდა დედა თავის პატარა გოგონას. „რა მინდა? იცი დედა, რა კარგი იქნებოდა დიდ, დიდ, ვეებერთელა დედოფალს რომ მიუიღდე! ან არა! დედოფალს სომ მუავს? მე მინდა..“ და მარო ჩაფიქრდა, არ იცოდა, რა საჩუქარი ამოეჩია.

მარო! შინდზე არ წამოხვალ? — მოისმა ამ დროს ეზოდან ხმა. მარომ გადისედა აივნოდან და თავისი მეგობარი სოფლის პატარა გოგოები დაინახა; ეველას ხელში თითო კალათი ეჭირა და მხიარული სახით მიემკვარებოდენ. „ახლავე! ახლავე!“ დაუვირობ ბატონის ქაღმა, საჩქაროთ აკოცა დედას, წამოავლო ხელი იქვე კუთხეში მიგდებულ კალასას და ცქვიტათ ჩაირბინა კიბეზე; ხელი-

ხელ-ჩაკიდებული უველბ ტვისკენ წავიდენ და იქიდან მალე მოისმა მათი სიმღერა და სიცილ-კასკასი. ცოტა ხანში ბოჭებმა კალათებიც დაავსეს და თითონაც დაძლენ; ტყეში უოფნა ისე გაუტებათ, სახლში წასვლასე სულ არ ფიქრობდენ.

„აი, ამ ჰატარა მინდორსე დავჯდეთ, რა გვეჩქარება შინ წასვლა?“ — თქვა მარომ.

„დღეს ბინც კვირაა, კალო არავის უბია, მთელი დღე თავისუფალი ვართ“, დაუმატა თმა-ხუჭუჭა თამრომ, მაროს საუკეთესო მეგობარმა გოგონამ და სიამოვნებით გაიძნვართა მწვანე ბალახსე. სხვებმაც ამას წაბამეს, ზოგი წამოწვა და თვალები დახუჭა, ზოგმა შინდით სავსე კალათი ამოიღვა გვერდით, შინდს რჩევა დაუწყო და ხანდახან ჰირშიდაც გადააპარებდა ხოლმე, თუმცა იქავე ხეებზე იმდენი ესხა, რომ კალათიდან ჭამა ცოდაც იყო.

„ერთკვირას იქით მარინაობა! მაშინ თხილსე წავიდეთ! თუმცა შორს არის, მაგრამ სეირნობაც იქნება და თხილსაც ბევრს ვიძოვნით ჩურჩხელებისათვის! თქვა თამრომ. „ხომ წამოხვალთ, გოგოებო?“ —

რატომ არ წამოვალთ, დიანაც უველბ წამოვალთ! — უპასუხა სოფიკომ.

მარო, მენ? — მიუბრუნდა თამარო ბატონიშვილს. მარო ღრმით ჩაფიქრებული იყო და ამხანაგების ლაპარაკი არც კი ესმოდა.

რა მე? — ჰკითხა მარომ.

დღეისწორს თხილსე წამოხვალ თუ არა?

„კი წამოვალ. დღეისწორს ხომ ჩემი დღეობაა და კარგათ უნდა გავატარო დრო. აი, ახლაც იმის ფი-

ქრძი ვიყავი, თუ რა ვთხოვო დედა-ჩემს საჩუქარი. ასე მითხრა, რასაც მოხვ იმას გიყვითლია“.

ნეტავი შენს ადგილას ვიყო, თორემ მე კი მეცოდინებოდა, რასაც ვთხოვდი!—მიუბრუნდა მაროს შავ-თვალ-წარბა ნუცა.

— რას თხოვდი? ერთხმათ კითხეს მარომ, თამრომ და ეველა სხვა გოგოებმა.

„ამას წინეთ სოფლიდან ჩამოვიდა ჩემი დეიდა-შვილი და თქვა, ჩვენ სოფელში ერთი ქალი იყო და ისეთი კაი სანახავეებს გვაჩვენებდა სოფლმე, რომ მეტი არ შეიძლება; რაღაც სველს თეთრ ტილოს გააფენდა, ტილოს უკან ეუთში ლამპარს აანთებდა და ტილოზე სულ სხვა-და-სხვა ნაირი სურათები გამოჩნდებოდა; თურმე ნუ იტყვიოთ, აღტაცებით უამბობდა ნუცა, სახლი გინდა, თუ მინდორი, თუ მხეცი რამე, ერთი სიტყვით, რა გინდა სულ და გულო, ეველაფერი შედ იყო!“

ჰო! ეგ ხომ ბუნდოვანი სურათებია!“ წამოიძახა მარომ.

„ნეტავი მეც მანახა, ის ბუნდოვანი სურათები რა-ღაცაა!“ ინატრა თამრომ.

არც მე დავიწუნებდი! მეც ძალიან გამეხარდებოდა! — თქვეს სხვებმაც.

აი, ამისთანა ეუთის ეიდვას ვთხოვდი დედას, შენ ადგილას რომ ვიყო“, უთხრა ნუცამ მაროს.

„მართლა და რა კარგი რამ მოიგონა ამ ნუცამ!“ — გაიფიქრა გულში მარომ. ვაჟიდვინებ დედას, დავბატყებ ეველა ამათ და ეველას ვასიამოვნებ! უჰ! რა კარგი იქნება! რა კარგათ გავატარებთ დროს!“ დაბრუნდა თუ არა

სახლში მარო, მაშინვე დედას მივარდა და უთხრა: ხომ მოვიგონე, დედილო, რა საჩუქარიც მინდა ჩემ დღეობაზე! ბუნდოვანი სურათების საჩვენებელი ლიფლიფა მიყიდე!“ დედაც დაპირდა, უსათუოთ გვიდღო.

დადგა მარიობა. დილას ეველა გოგოები მოვიდნენ მაროსთან და სიყვარულით მოულოცეს ზატარა ბატონიშვილს დღეობა. მარო ეველას სიამოვნებით მიეკება, ჯიბეები კაპოვეტებით დაუტენა და იმათ სახლში წასვლის დრო რომ მოხსლოვდა, პირობა ჩამოაწოვა, ამ საღამოს, მხე რომ ჩავა, ეველა აქ მოგროვდითო, რაღაცა ძალიან კარგი რამე უნდა გაჩვენოთო.

ნეტა რა უნდა გაჩვენოს? ჰკითხავდენ ერთმანეთს გოგოები, როცა სახლში მიდიოდნენ.

რა კაი იქნება, ახლა რომ დამეძინოს და საღამომდის აღარ გამოძევიძინოს! თუ არა ისე საღამომდის ცდაში ხომ სული ამომხდება! თქვა სოფიკომ.

ჰა, შე სულ წასულო, შე მოუთმენარო, შენა! - ჰა, ჰა, ჰა! — დაცინოდნენ ამხანაგები გაწითლებულ სოფიკოს. საღამომდის ვერ მოიცდი, რაღა ქალი ეოფილხარ? შერცხვენილმა სოფიკომ თავი ჩადუნა, იგრძნო, რომ სისულელე თქვა და ამას შეძდეგ სმა აღარ ამოუღია, სხვები კი ხანდახან მაინც იტყოდნენ; „რა ხანია, სადილი ვჭამეთ და მხე კი ჩასვლას აღარ აპირებსო!“

როგორც იქნა, მხეც ჩავიდა, გოგოები ეველა ერთათ მოგროვდნენ და ბატონის სახლისკენ გაემგზავრნენ. მარო ძალიან ადელევებული დახვდათ; მან დააჯინა თავის სტუმრები, თითონაც გვერდში მოუჯდა, მავრამ დიდხანს ვერ მოისვენა;

ორ-სამ წამს იქით წამოხტა და მეორე ოთახში გავარდა, მეორე შამოვიდა ისევ მეგობრებთან და ისევ მალე გაიქცა.

იმ ოთახში რაღაცას ამზადებენ! — წაუჩურჩულა თამ-რომ ნუცხას.

უნდა გამოვტყდე, რომ მეც კი სოფიკოსავით სული მიმდის! გაიცინა ნუცხამ.

მართლა, ნეტავი მალე გვაჩვენებდენ, რაღაცაა საჩვენებელი! თქვეს სხვებმაც. მათი სურვილი ასრულდა; მეორე ოთახის კარი გაიღო და კარებში მარო გამოჩნდა.

აქ მოდით, ყველა ამ ოთახში შემოდით, ეპატეუბოდა ის ამხანაგებს: გოგოები შევიდენ და შუა ოთახში გაჭიმული დიდი ტილოს ზეწარი დაინახეს. ახლა კი მიხვდენ რაშია ციფო საქმე. სურათებს გვაჩვენებს? სურათებს! ეჩურჩულებოდენ ერთმანეთს. მართლაც ტილოს უკან მაროს დედა იღვა და სურათებს არჩევდა. აი, ტალოზე გამოიხატა ორი ადამიანი, დედა და შვილი? შვილს წითელი ქუდა ეხურა და ხელში კალათი ეჭირა, დედა თითს უქნევდა, ეტეობოდა, არიგებდა.

ჰო! ეს ხომ ის არის, ქალბატონი რომ წითელ ქუდას ზღაპარს გვიკითხავდა. “წამოიძახა თამრომ, აი, დედა არიგებს, ჰირდაჰირ ბებიასთან წადიო, გზა არსად გადაუხვიო! შესედე, რანაირათ უქნევს თითს! ადტაცებით ლაპარაკობდენ გოგოები.

სურათი შეიცვალა! დიდ ქუჩაზე მოდის პატარა წითელ-ქუდა, წინ კი უშველებელი მგელი უდგას, ჰირი დაუდია, კბილები დაუხრჭენია და ეტეობა, რაღაცას ელაპარაკება.

„აი, ის საძაგელი მგელი — წამოიფიქრეს გოგოებ

მა — ეუბნება მინდორში გადადიდა ბებიას ევაზილები მო-
უკრიფეო! საწვალე წითელ ქუდას გაბრიყვება უნდა! რა
აზი მკელის!

სურათი კიდევ შეიცვალა; მინდორზე წითელ ქუ-
და ევაზილებს ჰკრეფს, მგელი კი ბებიას სახლი-
სკენ მიიბის; ამ ნაირათ მთელი ზღაპრის სურათები
იყო წარმოდგენილი. გოგოები ფოველ სურათს სინარუ-
ლით ეგებებოდნენ, იცოდებდნენ საწვალე ბებიას და წითელ
ქუდას და გული მოდიოდათ მკელსე. ეველასე უფრო ის
სურათი მოეწონათ, როცა მონადირე მკელს მუცელს უპობს
და იქიდან ცოცხალი წითელქუდა და მისი ბებია გამო-
დიან.

უკანასკნელი სურათიც გაქრა. რა კარგი იყო! ჰუ!
რა შვენიერი იყო? ვერ მოითმინეს ზატარა სტუმრებიმა.
„გოგო, როგორი კბილები ჰქონდა იმ დაწვევლილ მკელს!“
„რა მარჯვეთ გაუბო იმ მონადირემ მუცელი!“ „ისე მო-
უსდება! რას ერჩოდა, რომ გადაულაპა ბებერი და წითელ-
ქუდა ბავში!“ ნეტავი ჯერ არ გათავებულყო! ამისთანა
სიამოვნება მე ჯერ არ მინახავს!“ აღტაცებით ლაპარაკო-
ბდნენ გოგოები; მარო გულის მკერით უგდებდა უურს ამ
ლაპარაკს; ეველასე ბედნიერი ის იყო, ამისთანა კარგი
სახუქარი მას ჯერ არ მიუღია არც დღეობაში და არც
სხვა დღესასწაულში.

მამ ძალიან მოკეწონათ? კიდევ კინდათ მეორეთ ნა-
ხოთ? — ჰკითხავდა ის გოგოებს.

ნეტავ კიდევ ვნახავდეთ და უკეთესი რაღა იქნება!

ამ დროს მაროს დედა გამოვიდა.

დღეს დრო აღარ არის, იმ კვირეს კიდევ მო-

დით და მაშინ მეთევსეს და იმის ცოლის სურათებს გაჩვენებთ! მიუბრუნდა ის გოგოებს. „ახლა კი დროა, რომ შინ წახვიდეთ, თუარა დაგიკვირდებათ. გახარებული გოგოები გაემკვარნენ და გზაზე რასაკვირველია სულ წითელ ქუდასე ლაპარაკობდნენ, მარო კი მოეხვია თავის დედას და ეუბნებოდა:

„რა კარგი საჩუქარი მივიღე, რა ბედნიერი ვარ! რა გახარებული იყვენ გოგოები! ძალიან კი მოეწონათ წითელ ქუდას სურათები! მეთევსეც მოეწონებათ, მეც კიდევ სხვებს ვაჩვენებთ... კიდევ სომ ბევრი სურათებია?

ბევრია, ბევრი, ნუ გეშინია; ახლა კი წადი და დაიძინე, ვერა ხედავ, თვალებს ძლივს ახელ? გააწევეტინა დედამ სიტყვა. მარო ძაღვ დაწვა და გემრიელათ დაიძინა; მთელი ღამე სიზმარშია ც ბუნდოვან სურათებს და ამხანაგ გოგოების სიხარულს ხედავდა,

ელიკო



კოჭლი ბატი

ამბავი

(ახრი რუსულიდან).



მხანაცებისაგან მოძულეებული კოჭლი ბატი ზატარობაში არაფრით გაირჩევოდა თავისი დაძმებისგან. ის იმათთან ერთ დროს გამოიჩეკა კვერცხებიდან. იმათსავით შემოსილი იყო ფაფუკი ყვითელი ბუმბულით, მხოლოდ შურგზე ჭქონდა ნაცრის ფერი ზოლი. იმის ლამაზ თვალებს გარშემო წითელი რგოლები ჭქონდა შემოვლებული. დედა-ბატს ძალიან უყვარდა ჭუკები, უსწორებდა ბუმბულს, უსუფთავებდა, უაღერსებდა. — თავის სიყმაწვილეს მხიარულათ ატარებდა ჩვენი ჭუკი. დე-

და-ბატს ყოველ დღე დაჭუავდა თავისი ჭუკები მინდორში. ისინი იქ შეექცევოდნენ შვენეერ ნორჩ ბაღასს და ჭიადუას, მერე წავიდოდნენ მდინარეზე და ცურობდნენ. იქიდან ხელი ნაბიჯით შინ ამოვიდოდნენ ხოლმე.

ჩვენ ბევრი შინაური ფრინველები გვაყვდა. ფიხსებ ქვეშ და სანაცრესთან კრუსები კუტკუტებდნ და თავს ევლებოდნ წიწილებს. შუა ეზოში ძამალი ინდოური გაბუებუელიყო და მიწასე ფრთების ფხაკუნით გარშემო უვლიდა სსვა ინდოურებს. ძამალს სანესხვესე მოეგროვებინა დედლები. ჭქექავდა და ხან ერთს შეჭხატკებდა გემრიელ ჭია-ლუას, ხან მეორეს. იხვები გეჯაში ჭყუხალაობდნ.

საქათმოს კარებთან იდგა ნაკმაზით სავსე ქატო. დაგვინახავდნ თუ არა ქაცოსთან ახლო, ქათამ-ინდოურბატ-იხვებიც ვიჟიჟით მოცვინდებოდნ გემრიელ მარცვლებით ჰირის ჩასატკობობათ, თუ ქერს გადაუვრიდით— ეწეინებოდათ, შედგებოდნ, შემოკვსენდავდნ, აილებდნ ორიოდე მარცვალს და გაბრუნდებოდნ. გადუვრიდით სორბალს -- და დიდ თავის მტვრევას გამართავდნ. ეველა ცდილობდა მეტი ეკდო ჰირში. ხან ერთ წიწალას წანისკარტებდნ, ხან მეორეს. ინდოურებს ქათმებიც კი აშინებდნ და ბატებთან მიასლოებსას სო თითონაც ვერ ბედავდნ. იხვები კი შუა ჯგუფში შეეროდნ და იგვერდებოდნ. დედა-ბატი ვეინ-სისინით ეველას შემოილალებდა და იმის ჭუკებს სსვებსე მეტი საკენკი ერგებოდათ სოლმე. არც ჩიტები იზარალებდნ თავს: ისინი გრიხლით დაეშვებოდნ ფიხსებიდან და სეებიდან და ჭკენკავდნ მარცვლებს. როცა ჩინჩასვებს ამოივსებდნ ბატები ნელ-ნელა წავიდოდნ. ინდოურები ერთათ გამოვიდოდნ ჯგუფიდან, გადაფრინდებოდნ ეზოს ბოლომდის და იწეებდნ თამაშობას და მატიტელის ზუწკანას. ქათმები ერთათ

არ ანებებდენ თავს კენკას. რომლებსაც საკმაო ვერ ეჭ-
მათ, კიდევ რჩებოდენ და სსეებისგან დაწუნებულ მარცვ-
ლებს არჩევდენ.

II.

ჩვენი ჭუკი ჯერ ისევ ჰატარბ იყო, როცა მას შეე-
ძინა უბედურება, რომელმაც მოაშორა იგი ტოლ-ამხა-
ნას.

ერთხელ ესოში დავდიოდით. საღამო იყო: დედა-ბა-
ტმა ნელი ნაბიჯით და აქეთ-იქით რჩევით ამოიყვანა ჭუ-
კები სევიდან.

— დედილო. ეს ლევა ჭუკი ჩემი იყოს! — ვუთხარი
დედას.

— კარგი, შეილო, შენი იყოს. სახალწლოთ რო
შკოლიდან ამოხვალ, მაშინ დაგიკლავთ... ეტეობა, ლევა
მარტო ეს გამოდის, თქვა დედამ. მერე დაუძახა ჭუკს:
„ლევა, ლევა! მოდი, მოდი სორბალი გაჭამო“, და მი-
უხარბ საკენკი. „ლევა“ მსიარულათ დაიყვინა და დაი-
წყო ჭამა. მე სელი გადავუსვი. „ლევა“ არ ითაკილა:
ნელი ხმით წაიყვინა და წაიკმელა კისერი, ჩვენ ბაღჩა-
ში შევედით. უეცრათ შემოგვესმა ჩვენი ავი კრუნის ქოთ-
ქოთი. გამოვეშურეთ ბაღიდან და დავინახეთ, რომ კრუნს
დაველო „ლევისთვის“ ფესში ნისკარტი და აქეთ-იქით
იქნედა. დედა-ბატიც მიეშველა, მაგრამ გვიანდა იყო: ფე-
სი შემოტვრეული ჰქონდა ლევას და ცალი თვალი გა-
მოთხრილი. ამას შემდეგ ნათესაობამ აითვალწუნა ჩვენი
ლევა ბატი. მართლაც ვერაფერი სანახავი იყო ცალთვა-

ლბ, კოჭლი და დანალიტავებული! იძოდენა ფრინველო-
ბაში შემბრალეული, ქომაგი არავინ ჰყავდა. პირ-იქით
ვეელანი ჩაგრავდენ იმას, ახლო არ იკარებდენ.

— დაიკარგე აქედან, შე კოჭლო, ბრუციანო! ეტეო-
დენ ხოლმე იმას, როცა სხვებთან ერთათ წყალზე, ან მი-
ნდორში დაპირებდა წასვლას, შემოჰკვრავდენ ფრთებს და
კამოაგდებდენ. იმანაც დაანება თავი შორს სიარულს და
კმაყოფილდებოდა ეზოს. როცა სხვა ბატები წავიდოდენ,
ის გეჯაში ჯდებოდა და ჭეუზალობდა.

დღეა ჩემს ძალიან ებრალებოდა „ლეკა“, საკენკს ცა-
ლკე აჭმევდა. ეს წყინდათ „ლეკას“ ამხანაგებს. საცა კი
მოასწრებდენ, უსათუოთ ნისკარტს წაჰკრავდენ, თან არ-
სად წაიყოლებდენ. საწყალს არავინ ეშველებოდა, ვეელს
საქმეში იყო გართული: მძღვები მიძვილობას უნდებო-
დენ; ინდოურები რაკი ერთმანეთს ჩააცივდებოდენ — ხსნა
აღარ იყო; ინვეები ცუდ-უბრალოზე ერთ ვანი-უშველებელს
მართავდენ, თუმცა ღვთის წინაშე, ჭამის მეტი მანცა-და-
მანც არა აკონდებოდათ რა.

ნათესავებისგან დაჩაგრული და გულდამწვარი „ლე-
კა“, დედანთან მივიდოდა და კისერს კალთაზე დაუდებდა,
თითქო შებრალებასა თხოვსო.

— ვინ კამიჯავრა ჩემი „ლეკა“, ვინა? აი, თქვე სა-
ძაგლებო, თქვენა! დაცადეთ გახსნილდეს, როგორ დაგა-
ჩინირთოდოთ, რო მიჯავრებთ ჩემ „ლეკას!“ გადუსვამდა
ჩელსა და საკენკს მიუეროდა... ეზოში სიარულის დროს
ასიც უკან დაგვდევდა თამაზთ, თითქო ამხანაგებს ეუ-
ბნებოდა: სრულებითაც არ მეჭირება თქვენგან სიყვარუ-
ლიო.

კოჭლი ბატი

ერთხელ, სეირნობის დროს „ლეგას“ გაეცნო ჯამბიანთ ბრძმა ბატი. საწყალს თვალების ტკივილი ჭირდა და დაბრმავდა. უნდოდათ დაეკლათ, მაგრამ ნახვამთყოფარი ერთობ გამხდარი იყო. როცა ცოტა მოსულიერდა კვერცხის დება დაიწყო და ძლეე კიდევ აკრუსდა. წინანდელმა მეგობრებმა გაჭირვების დროს, შველის მაგიერ თავი მიანებეს. საწყალი ბრძმა ბატი ხანდისხან მთელი დღე მშიერი დაუიალებდა. ბოლოს „ლეგა“ გაუჩნდა ნუგეშით.

— ამას შემდეგ ჩვენი კოჭლი ბატი მთლათ გამოიცვალა. გამამაცდა. აღარავინი ეძინოდა. ჰირ-იქით, თუ იმის ახალ მეგობარს ვინმე აწეუნიებდა, „ლეგა“ სისინით და ფრთების ქნევით დაუსვდებოდა მტერს. საღამოზე, როცა ბრძმა ბატს დაბინავებდა, შინ დაბრუნდებოდა ხოლმე. „ლეგა“ მთელი დღე თან იდევნებდა მეგობარს და ყოველთვის იმის ალერსში იყო. ხან ჩვენსაც მოიყვანდა. თუ კარეთ ვერავის დაინახავდა, კარებს ღრღნას დაუწყებდა და მით შეგვატეობინებდა საკენკი გვინდაო.

— არ გინდა, ქაჯან, ბანაობა? დღეს ძალიან ცხელია, — ეუბნებოდა ის თავის ენაზე და, თუ ბებერი ბატი ისურვებდა წასვლას, წაავლებდა კისერში ნისკარტს და ფთხილათ წაიყვანდა წვალზე. ცურაობის დროს კვერდზე უდგა და არა შორდებოდა. ძერე გამოუძღვებოდა და შინ მიაცილებდა.

როცა ბრძმა ბატმა ჭუკები გამოჩივა, „ლეგა“ მთელი დღე თვალს არ ამორებდა იმათ, რადგან დასახიჩრებული დება ვერ უვლიდა. ხანდისხან რომელიმე ნაღიტა ჭუკი ჩაუვარდებოდა თხრილში, ან დერეფნის დირეზე ვერ ავიდო

და; დედა-ბატი ეიუნს დაიწეებდა, მაგრამ ვერა შეელოდა. ლევა ფთხილათ ამოიყვანდა ჭუკს, კისერს წაიკმელებდა და ეტეოდა დედას: ნუ კეშინია, შენი შვილი უვნებლივ ამოვიყვანეო. მაშინ ისიც მიესაყვარლებოდა მშვიდობით გადარჩენილ ჭუკს.

III

ერთხელ, როცა ჭუკებმა გული იჯერეს წებლში ბანობით და გამოვიდნენ ნაპირზე შინ წასასვლელათ, ლევამ დანახა ცაში ერთი ქორი.

—დაუბუდე, ბებერო, შვილებს,—უთხრა იმან ბრმა ბატს, —მტერი თავს დაგკატრიალებს! ეტეობა დღეს მშიერი დარჩენილა, თორემ სოფელში არ მოფრინდებოდა.

შეშინებულმა ბატმა დაუეიუნა შვილებს. ისინი მარდათ შეეფარნენ დედის ფრთებ ქვეშ. ლევა კვერდზე მოუდგა და საომრათ მოემზადა, თან თავისი ცალი თვალთ სევით ისელებოდა. ქორი ნელნელა ფრინავდა და უახლოვდებოდა ბატებს. აი, ლევა კიდევ ხედავს იმის მოკაუჭებულ ნისკარტს და ბასრ კლანჭებს. ქორმა შეკუმმა ფრთები, გაშალა კლანჭები, სწრაფათ დაეშვა და დაეცა ერთ ჭუკს, რომელსაც დედის ფრთებიდან თავი გამოეყო. ლევა მამაცურათ დაუსვდა: ისე მოხერხებით ჩაჰკრა ქორს ნისკარტი ძიკ თვალში, რომ ქორი დაბარბაცდა. ლევამ დაუწყო ფრთების ცემა და ეიუნი. —გაჯავრებულმა ქორმა თავი ანება ჭუკს და ლევას დაუწყო ბრძოლა. ბოლოს

გამარჯვება დარჩა ლეკას: დაღალული და მშვიერი ქორი აფრინდა ხელცხრიელი.

მაგრამ რას გავდა საბრალო ლეკა! თავი მთლათ დასისხლიანებული ჭქონდა, კისერი ორ-სამ ალაგას ამოგლეჯილი, ბუძბუძი აწეწილ-დაწეწილი, მაგრამ მაინც თამამათ იქნევდა ფრთებს, ათვალიერებდა ჭუკებს, ულოცავდა დედა-ბატს შვილების გადარჩენას.

შინ რო მოაღწია ლეკამ— დიდი სისხარული ეტუობობა: ეიუინებდა, ფრთებს იქნევდა, მაგრამ სისხლის დენას დაესუსტებია და ბარბაცებდა.

— მშვიდობით, მეგობარო, უთხრა იმან ბრმა ბატს, — მე მთლათ დაჭრილი ვარ, ვკვდები... მაგრამ ნუ იღარდებ ჩემსე: შვილები მალე მოგესწრებიან და შენი ნუკეშები იქნებიან. მშვიდობით! მე მოხარული ვარ, რომ სიკეთის მოტანა შევიძელი.

— რას ამბობ? ჭკითხა გაკვირვებულმა ბატმა.

— მშვიდობით, — გაიმეორა ლეკამ, — გამდლობ, რომ ძენც გიუვარდი...

— დაკალით, შვილებო, ე საცოდავი ბატი, თორემ სიცოცხლის ჰირი აღარ უჩანს! გვითხრა — დედამ.

— არა, დედიჯან, ნუ დაუკლავთ! ეკება კი იცოცხლოს.

— მაგას რაღა მოარჩენს? დაკალით და ტანჯვას მოაშორეთ!

— მაგის სორცი ახლა სო არცევი იჭმევა და იქნება როგორმე მოვარჩინოთ.

— კარგი, თუკი აგრე კებრალევათ, აბა უზატრონეთ და... მორჩება რა კარგია, არა და... რას იხამთ?

ჩვენ მაშინვე მოვბანეთ „ლეკას“ სისხლი, ცხარე მძარში დასველებული ტილო წაუსვით, რომ სისხლის დენა შესწუვებოდეს, ჭრილობა შევეხვით კარბქ-წასმულ ჩვრით, დავალეფინეთ წმინდა წებლი, ვაჭამეთ და ბაღჩაში დავაბინავეთ. მთელი კვირა ასე ვუფარესობდით და ამაოთაც არ ჩაკვიარა შრომაძი: ჩვენი ფალავანი „ლეკა“ გამოჩნა.

აღ. ბარნოვი



პ ა პ ა ს ა ბ ა

„ისეთი გოდორი დაწანი,
შენს შვილსაც გამოადგეს“.




რთს ქვეყანაში უცნაურს
ხალხს ჰქონდა მოსახლკარობა.
იმათში სანამ შეეძლო
დედმამას ამაგდარობა,
შვილებიც არას ერჩოდენ,
კიდევ ზრუნავდენ მათზედა,
მაგრამ, როდესაც სიბერე
მიადგებოდათ კარზედა,
მაშინ კი გოდორს უწნავდენ,
აჰქონდათ მალლა სერზედა,
შიგ სხამდენ ხოლმე და მერე

გადუძახებდენ კლდეზედა!
იმავე ხალხში ცხოვრებდა
ბოლოს ჭკვიანი საბაო;
ვიდრე მის ხელებს სალოკი
მოჰქონდათ ჩიჩი-ბაბაო
შვილებიც შესათქეფათა
ნიადაგ იყვენ მზადაო.
და ტკბილ მშობელსაც შვილები

უქიცინებდენ კუდითა.
 მაგრამ როდემდის ივლიდა
 მამა სასუსნი გუდიოა
 ან ატარებდა უვნებლათ
 გველს მშობლიური უბითა?
 აკი საწუთრომ თავისი
 ქმნა და დაბერდა საბაო,
 მისმა შვილებმაც გოდრის წვნა
 იწყეს, რა ექნათ, აბაო?
 რაც სხვას უქმნია, ქმნა უნდათ
 სხვაფრათ მოიქცენ რათაო!?.
 ჰწვნენ ჩუმაჩუმად და მამას
 გაუბღვერიან მტრულათა;
 ის ანუნში ვერ მოდის
 მითომ: მიმჯდარა ბრძნულადა.
 მერე ადგა და მილოლდა,
 უთხრა: „რასა ჰწნავთ ამასა?
 რასა უმზადებთ, შვილებო,
 თქვენს მოამაგე მამასა?“
 იმათკი ველარა უთქვამსთ,
 ჰყუდიან დატრუნვილები:
 მამა ჰწვრთნისთ, სმენათ გამხდარან
 მისი მეგოდრე შვილები.
 ეტყვის: „მე განა არ ვიცი,
 ეგ რასაც წარმოადგენსო,
 მაგრამ ფარსაგი ვერ არის,
 რახან ჰკოწიწობთ მაგდენსო;

ბარე ისეთი დაწანით
 თქვენს შვილსაც გამოადგესო.
 შვილებმაც იგრძნეს სინდისის
 სავალდებულო მხილება:
 გოდორი დაწვეს, მამასაც
 დაუწყეს კარგათ ყურება.
 მალე თემშიაც მოისპო
 სავოდრე განკარგულება.

ბაჩანა



საშინელი ღამე

(ფრანგულიდან გადმოკეთებული).



ალიკო და სანდრო თავისმა დედ-მამამ ცოტა ხნით ბებიასთან სტუმრათ გაკზავნა; ბავშვებს დიდი ხანი იყო, აღარ ენახათ საუკარგელი ბებია და ძალიანაც უხაროდათ იმის დიდ კოშკში წასვლა; იცოდენ, რომ ბებერი

არაფერს დაიშურებდა, ოღონდ კი გაერთო და გაემხიარულებინა თავისი შვილი-შვილები; მართლაც ჰირველი ორისამი დღე კარგათ გაატარეს; დილიდან საღამომდის დარბოდენ კოშკის დიდ ოთახებში, უნახავი ერთი კუნჭულიც არ დარჩენიათ, ყველაფერს ათვალიერებდენ, ყველაფერს ხელს ახლებდენ, მაგრამ მეოთხე დღეს ცოტა მოწეიბდათ; თითქოს განკებ, რაც ისინი სტუმრათ მოვიდენ, სულ ავდრები იყო და გარეთ ვერ გამოსულიყვენ.

„მოდე, წიკნთ-საცავის კასადები გამოვართვათ ბებიას და წავიკითხოთ რამე.“ — უთხრა სანდრომ თალიკოს,

„ჯერ მოიცადე, ჩემ ციცას ვეთამაშოთ! წიკნი მერე ვიკითხოთ!“ ურჩია თალიკომ და თავის ჰატარა შავ კატას კუდზე ქაღალდი მიაბა, კატამ ციბრუტივით ტრიალი დაი-

წყო, ცდილობდა, ქაღალდი დაეჭირა, მაგრამ ვერ ახერხებდა; რამოდენსამე ხანს ბავშვები სიცილით უეურობდნენ ამ სურათს, ბოლოს სანდრომ, როგორც უფროსმა გადაწყვიტა: კატასთან თამაში მარტო ჰატარა ცოცოების საკადრისა, მე კი არ შემშვენისო და ბებიასთან გასწია გასაღების სათხოვნელათ; თალიკოც უკან გამოუდგა; ბებია ამ თითონ წაიუგანა ბავშვები წიგნთ-საცავში და ერთი ზღაპრების წიგნი მისცა; ეტეობოდა, ეს წიგნი დიდი ხანი იყო, არავის ეკითხა, გვერდები სულ თაკვებს შამოეჭამათ. ბავშვები იქავე ჩაჯდნენ, სანდრომ სმა ძაღლს კითხვა დაიწყო, თალიკო და ციცა კი — გულ-მოდგინეთ უურს უგდებდნენ; ზღაპრები ძალიან საშიში გამოდგნენ; ვეელაში ან დევები იყო გამოუვანილი, ან უშველებელი ვეფხი, ლომი, დათვი და სხვა. იმათა ამბების კითხვამ ორივე და-ძმა ისე გაიტაცა, რომ მარტო საუხმის საჭმელათ გამოვიდნენ წიგნთ-საცავიდან; საუხმის დროს ისინი გატაცებით უამბობდნენ ბებიას წაკითხულ ზღაპრებს.

— არ გეშინიათ ძეგე, მაგისტანა საშიშ რამეებს რომ კითხულობთ? ესუძრა ბებია. ერთიც ვნახოთ და ღამე გესტუმროთ ან დევი და ან ლომი! მე კი არ გამაღვიძოთ და...“

— რისი უნდა გვეშინოდეს? ამაუთ გააწყვეტინა სიტყვა სანდრომ. „დევეები სომ მართლს არ არის ქვეყანაზე, და ლომი, ან ვეფხი როგორ შემაძინებს?“ თალიკომ მოწიწებით შესედა ძმას, თითონ იმას კი, ცოტა არ იყოს, გული უფანცქალებდა, „რა ეოჩადია სანდრო! რა კარგია, რომ ერთ ოთახში ვწევართ, ღამე აღარაფრის შემეშინდე-

ბა!“ — გაჟიქრა მან გულში, მაგრამ იმედი გაუცრუვდა: ჩაწვა თუ არა ლოგინში, მაშინვე ერთი მეორეზე საშიში სურათები წამოუდგა თვალ-წინ; ცდილობდა დაეძინა, თვალებს ხუჭავდა, ციცას მაგრათ გულში იხუტებდა, მაგრამ ვეღარ ეს ამაო იყო; ძილი არ მოსდიოდა, შიში კი — სულ ემატებოდა; ამ დროს წიგნთ-საცავიდან რაღაც სმაურობა მოისმა; იქ ვიღაცეები ფახუნობდენ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადარბოდენ და რაღაცას ფხაჭნიდენ; თალიკომ შიშით ამოსუნთქვაც ვეღარ მოახერხა.

— სანდრო! სანდრო! იმ ოთახში ვიღაც არის! აკანკალებული ხმით დაუძახა მან ძმას. სანდროსაც არ ძინებოდა; იძასაც გაეკონა სმაურობა და ახლა სულ-განახული იწვა.

— სანდრო! არ გესმის! მეშინია! იქ ვიღაც არის!

— ვინ იქნება? არაფერ არ იქნება! უნასუსა სანდრომ, თუძცა ფახუნი ისევ ისმოდა და მის გულსაც ბაგა-ბუგი გაჭქონდა.

— შენ არ ამბობდი, დევებისაც არ შექემინდებო? აბა, წადი და ნახე, ვინ არის იქ! წააქეზა თალიკომ.

— შენ გკონია, არ წავალ? დიასაც წავალ! და სანდრო ლოგინიდან წამოვარდა. დის სიტყვებმა შეარცხვინა, შექმინდა, ტრახახობა არ დამწამონო; მან წამოავლო ხელი სანთელს და ნელ-ნელა კარებისკენ გასწია.

— მეც წამოვალ! მეც! დაიძახა თალიკომ, აივანა ციცა და გამოუდგა ძმას; მარტო დარჩენის მას კიდევ უფრო ეშინოდა, ვიდრე ძმასთან წასვლისა; გრძელი საღამური ზერანგი ფეხებში ეტლანდებოდა, გული შიშით უცემდა, მაგრამ ნელ-ნელა მანაც წინ მიდიოდა; აი, სანდრო და



თალიკო მიუხსლოვდენ წიგნთ-საცავს... აი, გაღებული კარიც... სანდრო შევიდა და თალიკოც უკან შეჭყვია... უცებ სმაურობა შეწედა და ბავშვებმა არ იცოდენ, რა ეფიქრათ; საძიძის ვერაფერს ხედავდენ, ვერ მიმხვდარიყვენ, რაში იყო საქმე, თან იმისიც ეძინოდათ, კარს უკან ვინმე არ იყოს დამალულიო; ციცაბო ვეელაზე უწინ მოვიდა გონზე, კამოუსსლტა თალიკოს ხელიდან, ძირს გადახტა, მიადგა კუთხეში თაგვების სოროს და ფხაჭხა დაუწყო; ახლბკი მიხვდენ ბავშვები, რა სმაურობასაც შეემინებია ისინი; თაგვებს ისე ადვილათ არ დაეთმოთ მათთვის ზღაპრების წიგნი და უწინდელივით მოდგომოდენ მის ხვრას. შერცხვენილი დაბრუნდა და-ძმა თავის ოთახში; არც ციცაბო იყო მხიარული, ძალიან წეინდა, რომ ვერც ერთ თაგვს ვერ მოასწრო ზირის წავლება.

— ღამე დევები ხომ არ გესტუმრათ? სიცლით ჰკითხავდა ბებია მეორე დღეს თავის შვილი-შვილებს.

— დევები კი არა, და თაგვებს კი შევეტაკეთ! — უზასუხეს ბავშვებმა და სიცლი-ხარხარით უამბეს ბებიას იმ ღამის შემთხვევა.

ე—კა.



ფ ე ლ ა მ უ შ ი

(ამბავი).



ავშობისას ფელამუში მე ძალიან მიყვარდა. ქვე-
 ყანაზე ყველაფერს მერჩია. რაც უნდა მოწყე-
 ნილი და დაჯავრიანებული ეყოკილიყავი, სა-
 კმაო იყო ფელამუში დამენახა, რომ ისევე გავ-
 ხალისებულიყავი და ჩვეულებრივი ცელქობა
 დამეწყო. რაზედმე რომ ტირილს დავიწყებ-
 დი და ვერაფრით გამაჩერებდენ მეტყოდენ:
 გაიხედე ერთი კარში, ძიძა მ დის, ვგო-
 ნებ ფელამუში მოაქვსო. იმ წამსვე ცრემლებს
 მოვიწმენდდი და გარეთ გამოვბტებოდი, რადგა-
 ნაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ძიძა
 უფელამუშოთ ძვირათ მოვიდოდა ხოლმე ჩვენ-
 სას. თუ ძიძას ვერ დავინახავდი, მე თვითონ გა-
 ვიქცეოდი მისას. ჩვენგან მაინც შორს არ იდგა.

—მოდი, შენი ჭირიმე, მომეგებებოდა ის მაშინვე, რავე ნამტი-
 რალევი თვალები გაქვს, დაგენაცვლოს შენი ძიძა, მეტყოდა და თვა-
 ლებს ამომიკოცნიდა.

—მე გამლახეს. პატარა დიამ რალაცა დააშავა, მე დამაბრალეს,
 გამლახეს, მცემეს, კინალამ მომკლეს. შევებრალებდი თავს და ტი-
 რილსაც დავიწყებდი.

—ნუ ტირი შენ გენაცვალე, გაყურებიებ იგენის სეირს. მოვი-
 დე ერთი თქვენსას! მოიხოცე, შეილო კურცხალი, ახლა თუ გინდა
 ყანაში წავიდეთ მუშები ენახოთ. გულს გადაატან.

მე ტირილს უფრო მოვეუმატებდი.

—გაყუნხდი, შეილო, ნუ წავალი იქით! შინ ვიყოთ.

სსუ! ახლა რაღაზე ტირი? ხომ არაფერი გინდა?

იქნება ვაშლი გინდა? არა? აბა ფელამუში?

ამ სიტყვაზე, წვიმაში ამოსულ მზესავით გავიღიმებდი.

—აი შე ეშმაკო, შენა, მეტყოდა ის და თუ რთველი იყო, თანაც დაუმატებდა: წამოდი ბარემ ყურძენი მომაკრეფიეო. სისწრაფით მოვკრეფდით ყურძენს, დავწურავდით და როდესაც ძიძა „კაპჭანაით“ (პატარა ქვებით.) ტკბილს შუაცეცხლზე შემოჰკიდებდა, მე სიხარულისაგან ვდნებოდი, აღტაცებით ვუმზერდი, როგორ ხვარხვარობდა ტკბილი და იქით აქეთ ნაშხევეებს ისროდა. მოდუღებაში, რა თქმა უნდა, მეც მონაწილეობას ვღებულობდი და სხვა და სხვა შენიშვნებით მოსვენებას არ ვაძლევდი საყვარელ ძიძას. მერმე რა გემრიელი იყო, იმის მოდუღებული ფელამუში? კაცი, იმის ჭამით ვერ გაძლებოდი! რა ბედნიერი და მხიარული ვიყავი მაშინ!

მაგრამ მოთაფლებოდა თუ არა რთველი, ჩემი ბედნიერებაც თან გაჰყვებოდა. მართალია, ჩემი ძიძა ზამთარშიც აღუღებდა ფელამუსს, შენასული ყურძენის, ან გადაღუღებული ტკბილისაგან, ესეც გემრიელი იყო, მაგრამ საღ ჰქონდა, იმდენი მიმზიდველი სიტუაცია, როგორც რთველის ფელამუსს, რომელიც ეს არის ახლათ მოკრეფილი ცოცხალი ყურძენისაგან მოაღუღეს. ამიტომ აღტაცებით მოველოდი იმდროს, როდესაც რთველი დაიწყებოდა.

II.

კარგახანი გავიდა. ზაფხულიც თავდებოდა და ყურძენმაც ცოტა ოდნით ფერი იცვალა. სიხარულისაგან ფეხზე აღარ ვიდექი. მალე რთველი დადგებოდა. ცადათ თუ სიზმარში ჩემი გონება ამ სანეტარო საგანს ჰქონდა შეპყრობილი. ის მელანდებოდა, იმით ეცოცხლებოდა. ყოველ დილას გულწრფელათ ვევედრებოდი ღმერთს:

—შენი მუხლების ჭირიმე, ღმერთო, ადრე დალაამე, იქნება რთველიც ადრე დადგეს და მეც მეღირსოს მალე დაეტკბე ამ საოცნებო დროთი მეთქი. მაგრამ თურმე ტყუილათ ვევედრებოდი. ჩარხი სხვა ნაირათ გადატრიალდა.

კარგა ხანია მელაპარეკებოდენ. აწი დროა სასწავლებელში უნდა წავიყვანოთო. მაგრამ მეხუმრებოდენ მეგონა. ყურადღებას არ

ვაქცევდი. ახლაკი გადაწყვეტით მითხრეს; სამშაფათს ქალაქისკენ უნდა გავამგზავროთო. ეს ამბავი ლახვარაივით გულში ჩამესო. უნდა მოვშორებულყოფი ყველას, ვინც ჩემთვის ძვირფასი და საყვარელი იყო და ყველაფერსაც, რასაც ბალობიდანვე შევეჩვიე, ვეალერსებოდი და სანეტარო საგნათ მქონდა წარმოდგენილი. უნდა მოვშორებულყოფი ყველაფერ აქაურობას და მერმე კიდევ რა დროს? რთველის შემდეგ წავეყვანეთ მაინც. ერთხელ კიდევ მლირსებოდა რთველში დატრიალება. გავაძღარიყოფი ერთი მაინც ცხელი ფელამუშის ჭამით და მერმე სადაც უნდა წავეყვანეთ, ამდენს აღარ ვინაღვლიდი.

მოაწია გამოსალმების დრომ, თუმცა ძალიან ცდილობდენ ჩემს განხლისებას და გამხიარულებას, მაგრამ მაინც გულდამწვარი და დღონებული ვიყო. ყველამ გადამკოცნა. გზაც დამილოცეს, და ბოლოს ძიძაც გადამეხვია:

—იქნება შენი მოხუცებული ძიძა ვერცკი მოესწროს შეილო, აწი შენს ნახვას!.. მშვიდობით იყოფი.... კიდევ ბევრი რამეს თქმა უნდოდა, მაგრამ ცრემლებმა აღარ აცალეს.

მე უამისოთაც სატირლათ მომზადებული ვიყო და დიდის გაჭირვებით გულს ვიმაგრებდი. ახლაკი შეგუბებულ ცრემლებს გზა გაუუშალე და გულამოსკენით ტირილი დაეწყო. ყველა მანუგეშებდა: ნუ ტირი, საშობოოთ ისევ შინ წამოგიყვანთ, ყველას ნახვას მოესწრები, ნუ გეშინიაო.

ძიძამაც დამამედა: სადაც უნდა წავიყვანონ, მაინც მოგნახვ და შენს არჩევს (წილს) არც ხილს და არც ფელამუშს არ დაგაკლებო. კარგი იმედი იყო.

III.

ქალაქში ბინაზე ერთი ვაჭრისას დამაყენეს. იმის ვაჭი სოსიკო და მე ძალიან დაემეგობრდით. სასწავლებელშიც ერთად დავდიოდით და სახლშიც ერთად დავთამაშობდით. სოფელი თითქმის მთლათ გადამავიწყდა. სწავლასაც კარგათ ხელი მოეკიდე. მაგრამ ერთმა შემთხვევამ სულ ამიბნია ჩემი დავთარი.

ერთხელ, სასწავლებლიდან რომ მოვდიოდი, გზაზე ერთი ბე-

რი კაცი შემოგვხდა, რომელმაც დაგინახა თუ არა მოსწავლეები, დაიწყო ყვირილი:—ფელამუში, ვის უნდა კაი ფელამუში!

ამ სიტყვების გაგონებისთანავე რალაცამ თითქო თავში დამკრა, სულ ფეხებამდის გამიარა. ერთხანს გაშტერებული ვიდექი. მერმე მივედი მოხუცთან და ეუთხარი ხვეწნის კილოთი:—ბაბუა, მე მინდა ფელამუში, თუ მაქმევ!

—გინდა?.. კაი ფელამუშია, ძალიან კაი. მოიტა შაური ზ მოგცემ.

—მე ვინ მომცა შაური?!

—აბა ისე, უფულოთ, არ იქნება. აგერ რთველიც თავდება და ჯერ ფელამუშიში არაფერი არ ამიღია...

წამოვედი დანაღვლიანებული, ცრემლებს ძლივს ვიმაგრებდი. მომაგონდა სოფელი, ჩემი დედამა, ჩემი ძიძა... ფიქრებმა წამიღეს:

—არ მოველოდი ასრე აღრე თუ დამიფიწყებდენ. ძიძა მაინც შესარულებდა მეგონა დაპირებას, შენს წილს არაფერს დაგაკლებო, რომ მითხრა. ალბათ იმანაც მომატყუა. მოხუცმა თქვა, რთველი თავდებაო, ახლა ხომ დავრჩი ამ წელიწადში უფელამუშოთ! აღარც კი რცხვენინან. გადამადგეს საცხა ერთიცაზე ბალანაი და ახლა ამბავსაც კი არ კითხულობენ. მარა ისინი კი იქნებიან მხიარულათ და ჩემი ჯავრი ვისა აქვს. ასე მალე მამიძულეს. მომიცილეს თავიდან თუ არა მაშინვე დამიფიწყეს...

შინ რომ მივედი, ჩაეწევი მაშინვე პირქვე ჩემს ლოგინში და დავიწყე გაუთავებელი ჩუმი ტირილი. რომ მკითხავდენ, რა დაგე-მართაო, ავით ვარ მეთქი ეუპასუხებდი. იმ ღამეს მართლა ავით შევიქენი. ცალკე უჭმელობის და ცალკე ზედ მეტი ცრემლთა დენისაგან, მომცა სიცხე და მთელი ღამე ბოდვაში. ვიყავი. სოსიკო ძალიან შეწუხდა ჩემი ავთამყოფობით. სულ ჩემთან იყო და თავს მევლებოდა. როგორც მან მიაშობ, თურმე ძილში სულ ფელამუშს მბოდვებდა. ერთხელ ყვირილიც კი დამიწყევია: არიქა, მომეხმარეთ ფელამუშის მორევეში ვიხრჩობი მეთქი. სოსიკოს მე ყველაფერი ვუამბე. დამეთანხმა ისიც, რომ ცხელი ფელამუში ძალიან კარგი საჭმელია, მაგრამ ამას ისიც დაუმატა, რომ აქ ძნელი საშოვნელიაო. თავის დედას მაინც სთხოვა.

— დედა, რაიქნება ერთი ფელამუში რომ მოგვიღულო.

— არა, შეილო, ვერ მოგიღულებ, ფელამუში ძალიან მაწყინარია. აგერ ჩენი მეზობლისას მოუღულებიათ გუმინწინ და მერმე ყველა ავით გამხდარა.

—მერმე ყურძენი სად იშოვნეს?

—აი ჩვენ ეზოს იქით რომ ბაღია იქ მოკრიფეს და იმისაგან მოადულეს.

—დედა, ვთხოვოთ ყურძენი, იქნება მოგვეცენ.

—არა, შეილო, არ მოგვეცემენ და რომც მოგვეცენ, ჩვენსას მაინც არაფერ იცის იმის მოადულება.

აქ მეც შევერიე ლაპარაკში: ყურძენს თუ იშოვნით, ბატონო, მოდულება ჩემი საქმე იყოს, სახლში ბევრჯერ მიყურებია და კიდევ მამიდულება.

—შენ ხომ ავით ხარ, ფელამუში კი არა, ქათმის წვენის მეთი, არაფერი გეკმევა, მითხრა. მაშინვე ბევრი ვუმტკიცე-არ ვარ ავით მეთქი, მარა ვინ დამიჯერა. ცოტა ხანს იქით რაღაც მწარე წამალიც გადამაყლაპეს და ფელამუშზე ლაპარაკიც კი ამიკრძალეს.

ამას შემდეგ, რა თქმა უნდა, უწინდელზე უფრო უარესად დავლონდი. სოსიკოც შეწუხდა, ბოლოს, როგორც იყო, იშოვნა სადღაც ორიოდ ფარა და მომახარა—ცოტა მოიცადე ფელამუშს მე ვიშოვნო.

ამ სიტყვებმა მთლათ მამაცოცხლეს. გამოვედი ეზოში და სახლის გვერდში მივიმალე. ფელამუში სოსიკოს აქ უნდა მოეტანა. ეტყაღე დიდხანს. ჩემს წინ ჩვენი მეზობლის ბაღი გადაშლილიყო. არასდროს არ მომჩვენებია ეს ბაღი ასე შიმშიდველათ, როგორც ამ წამში, თვალი ვეღარ მოვაშორე, მთელი ბაღი ვენახით იყო მოფენილი. პირველ შეხედვაზე ყურძენი არცკი გამოჩნდებოდა. მაგრამ უცებ გაუქროლებდა ვაზის ბაბილოს მობიბინე ნიაფი, შეათამაშებდა ზევით, გამოაჩენდა გადაშლილ მტევანს, რომელიც მზის მოელვარე სხივებზე ქარვასავით გაკრიალდებოდა და საჩქაროთ ბაბილოს ისევ უკან დააბრუნებდა, თითქოს ეშინოდა ვინმემ არ დამითვალოს ეს სახარბიელო ყურძენიო. ვუმხერდი დიდხანს.

—ჰეი ჰეი! რა კარგი ფელამუში მოდულდება ამ ყურძენისაგან! წამომცდა უცებ. მერმე ეშმაკურმა ღიმილმა გამიბრინა ბაგეზედ. თვალეცი შემითამაშდა—თუ მოდულდება, კიდევ მოვადულებ. ვითომ რას გვიზამენ?—ვერაფერს. მოვიდეს ერთი სოსიკო? მაგრამ სოსიკომ ძალიან დაიგვიანა. სული შემიწუხდა. ერთ ადგილზე ვეღარ ვჩერდებოდი, ხან იქით გავიქცეოდი ქუჩისკენ, იქნება სოსიკო დაეინახო მეთქი, ხან კი ბაღს ჩავაჩერდებოდი, ჩავირტყამდი გულში

ხელს და ჩაველაპარაკებდი: — ერთი თუ აქაური ფელამუშით არ გავ-
 ძები, ისე რაღათ მინდა თავი მეთქი. ბოლოს სოსიკოც მოვიდა, მოი-
 ტანა ფელამუშის პატარა ნაჭერი. დაეკავე ხელში და დიდხანს ეუ-
 მზირე, მსურდა თვალთ მანც გავმადლარიყავი. მერმე გავტყენე შუაზე
 და ნახევარი ჩემს მეგობარს მივეცი, დაეწყეთ ნელ ნელა ჭამა, ძა-
 ლიან ცოტა მერგო. იმის მუცელში ჩასვლა ეგონებ კუჭსაც კი არ
 შეუტყვია და საღერღელი კი ისე ამიწალა, რომ გავიფიქრე, სწო-
 რეთ გადავირევი, თუ ერთი ფელამუშით არ გავძები მეთქი. — რა
 გემრიელია! წამომცდა უცებ.

— სწორეთ რომ კარგია.

— ეს რომ ამისთანაა, ცხელი ფელამუში რაღა უნდა იყოს?

— კარგი იქნება, მარა რანაირათ მოვადულოთ!

— მოდულებს დარდი ნუ გაქვს, მე მაგის პირველი ოსტატი
 ვარ, მხოლოთ რამენაირათ ყურძენი უნდა ვიშოვნოთ.

— საიდან, თორემ კი...

— ყურძენიც არაა ძნელი საშოვნელი. იმის საძებრათ შორს
 წასვლა არ დაგვირდება.

— როგორ?!

— აი, შეხედე რამდენია! მიეუთითე ბაღზე.

— კი, მარა რას გვარგია, ძუნწი კაცია, რომ ვთხოვოთ, არ
 მოგვეცემს.

— არა, ნუ ვთხოვთ! ისე მოვანერხოთ რამე. .

— რა მოვანერხოთ, კაცო, შენ რომ ავით არ იყო, მაშინ შე-
 გვეძლო, ბნელ ღამეში ყურძენიც მოგვეტაცა და ყველაფერც
 გვექნა.

— ჩემი დარდი ნუ გაქვს! მე, ღმერთი ნუ გამიწყრება, კარგათ
 ვარ. უსათუოთ უნდა მოვიტაცოთ. ორი მარჯვე ბიჭი ვართ, კაცო
 და თუ მოვინდომებთ, რაღა ვერ შევასრულებთ. მარა მზადებას აქე-
 დანვე უნდა შევუდგეთ.

— მანც რა დაგვირდება?

— უნდა ვიშოვნოთ თავიდანვე გობი, რომ ყურძენი დაეწუ-
 როთ, საცერი — ტკბილის გასაწურავათ კარდალი, (ქვაბი), ფქვილი
 და... ოჰ, მეტი არაფერი.

— ფქვილი ჭადის ჯობია, თუ პურის?

— მე ჭადის მირჩეენია.

— მე კი მკონია, რომ პურის აჯობებს!

—აჰ, ჭადის ფელამუშს რა ჯობია?

—ჭადის არ ივარგებს; ღმერთმანი, თუ მოვადულებთ, ბარემ კარგი უნდა მოვადულოთ.

—ვაი, რას ჩივი, აბდალავ, დედა ნუ მამიკედება იმისთანა იქნება, რომ იმის ჭამაზე თითს ჩაიტკვევრ...

ჩვენ კიდევ ბევრი ვიმუშაიფეთ ფელამუშის თაობაზე და დაწერილებით გეგმაც შევიმუშავეთ, როგორ უნდა „მოგვეტაცა“ მეზობლის ყურძენი.

IV.

იმ დღეს ჩვენს ჯინზე დღე საშინელოთ გაგრძელდა, არ დაღამდა და არა. მერმე დაღამებას, როგორც იყო, ველირსეთ, მაგრამ არავის არ ეძინებოდა. ნაეხნმევეს სოსიკოს დედას, ჩვენდა სამწუხაროთ, ჩონგურის დაკვრაც მოეხალისა და, თუმცა ჩვენ სრულებით არ ვიყავით ცეკვის გუნებაზე, მაგრამ იძულებული გაგვხდა, ორჯერ სამჯერ მაინც ჩამოგვეარა ლეკური. ჩვენ მოვისვენეთ, ის კი კიდევ დიდგანს უკრავდა. ბოლოს ისიც წავიდა თავის ოთახში.

მე მაშინვე ორჯერ ჩაეხველე. ამით ვანიშნე სოსიკოს, რომ ლოგინიდან აძღვარიყო. პასუხი არ გამცა. ჩაეხველე კიდევ. შენც არ მომიკედე, კრინტიც არ დასძრა. ახლაკი წახდა საქმე, გავიფიქრე, სწორეთ ჩასძინებია. ავდექი მაშინვე, მივიპარე სოსიკოსთან და ჩაეუფურჩუე — ავდექი, დროა, ყველამ დაიძინა. პასუხი რომ აღარ გამცა, ვეღარ მოვითმინე და ყურზე ვუკბინე.

—ვაი დედა, რაცხამ დამჭამა! წამოიძახა სოსიკომ ტირილის კილოთი.

—სსუჰ, ბიჭო, ავდექი ჩქარა!

—აჰ!

—ავდექი მეთქი, ყურძენი, ფელამუში...

ამ სიტყვებმა კი გამოაცოცხლეს. მაშინვე ტანს ჩაიცვა და ჩვენ ფეხაკრეფით გარეთ გავიპარეთ. გადავიწერეთ პირჯვარი, დავიკავეთ ხელში კალათი ყურძნის წამოსადებათ და მეზობლის ბაღში დიდის გაჭირვებით გადავძვერით.

მღელვარებისაგან ერთმანეთისთვის სიტყვის თქმასაც ვერ ვაზერხებდით. ყურძნის ჭამაც არ გაგვხსენებია. რაც შეგვეძლო ჩქარა

გკრფდით და კალათში ვყრიდით. საკმაოთ დაგკრიფეთ. დაბრუნებ-
 ბასაც კი ვაპირობდით, რომ უცებ მეზალის თავზარ დამცემი ხმა
 გავიგონეთ. — ვერ წავა ქურდი, ვერა, არიქა ეცა, ეციო...

ჩვენ მთლათ დავიბენით. შიშმა თავზარი დაგვცა. გაქცევა შეუ-
 ძლებელი იყო. სადმე უნდა დავმალულიყავით. სოსიკო ყურძნიანი
 კალათით გავიდა ხეზე, და იქ ფოთლებში ჩაიმალა. მეკი შორიანლოს
 მიწაზე გავწევი. ხმა მიწყნარდა. გადავჩხით, გვეგონა, განსაცდელს,
 რომ უცებ ჩვენს წინ რაღაც საშინელი სულიერი დაენახეთ. მო-
 ფორთხაეს ნელ-ნელა ჩვენსკენ. ადამიანს წააგავს, მაგრამ სომარის
 გამო ჯერ ძნელი გასარჩევია. ხშირ ხშირათ იხედება იქით აქეთ
 და თვალებიდან ცეცხლის ნაპერწკლებს ისერის. მოფორთხდა
 იმ ხის ძირში, რომელზედაც სოსიკოა. თუ ადამიანია... მეზალე იქ-
 ნება, ჩვენ მოგვეპარა დასაჭერათ, რაღა გვეშეგლება! და თუ სხვა
 რამეა — სულ უარესი, ვაი ჩვენიბრალი!.. ხის ძირში ის სულიერი
 შეჩერდა. აიხედა ზევით, წელშიც გაიმართა, დაღვა ფეხებზე... უშვე-
 ლებელი კაცი ყოფილა! სულ ზევით ზევით იყურება. ხელიც შეა-
 პოტინა ხის ტოტს. ზედ გასვლაც მოინდომა... ამ დროს უცებ გა-
 შრიალდენ ხის ფოთლები, ჩამოსრილდა იქიდან ყურძნით სავსე
 კალათი და ზევით მაყურებელს შიგ შუბლში დაენარცხა. გონზე
 მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ უცებ თავზე დაებერტყა ხიდან ჩამო-
 ვარდნილი სოსიკოც, რომელიც შიშის გამო ვეღარ შემავრდა თავის
 ადგილზე. ის ადამიანი შეკრთა, გადახტა განზე და გაიქცა. გზაზე მე
 ვეყავი გაწოლილი. წაიკრა ჩემზე ფეხი და ეგერ შორს ვაზებში
 თხლემა მოადინა მიწაზე. — ყაიმეო, კი წამოიძახა ერთი და ჩვენს-
 კენ არც კი მოუხედავს, ისე მოჰკურცხლა.

— ვერ წახვალ, შე ქურდო, შე ავაზაკო! მოისმა მეზალის ხმა.
 ძაღლებმაც ყეფა მოუხშირეს. ამას შემდეგ შეიქნა ერთი ყვირილი,
 გინება და ცემა — ტყეპა. ვინღაც დაიჭირეს.

— შე უნამუსოვ, ყვიროდა მეზალე, რაფა გაბედე ბაღში შემო-
 პარევა? არიცი, რომ მე ჩიტიც ვერ შემომეპარება!..

ტოტა ხანს შემდეგ მეზალემ ლაპარაკი უფრო რბილათ დაიწ-
 ყო. სჩანს იცნო, ვინც დაიჭირა.

— ბიჭო, აღარ გცხვენია მაინც ორჯერ რომ დაგიჭირე! ვეღარ
 მიხვდი, რომ ყოველთვის შეგიტყობ, როგორცკი შემოიპარები?..

— ი წყეული, ჭინკები იყო, თუ ბაღნები რომ არა, რაფარცხა
 შემეიტყობდი, იგი შენ დაიქადნე!

— ეინ ბაღნები?! რას ამბობ ბიჭო!

— ეითომ არ იცი!.. ზოგი ხეზე შეგისკუბებია და ზოგი ვაზებში ჩაგიმალაგს...

— ბიჭო, ხო არ შეშლილხარ, შე უბედურო... მეტი ჩვენ აღარაფერი გაგვიგონია, რადკანაც ჩვენ ოთახისკენ მივეჩქარებოდით. თან შიგეკონდა ყურძნიანი კალათიც.

V.

მეორე დღეს სოსიკო სასწავლებელში წავიდა. მაგრამ პირობა მომცა, ავთომყოფობას მოეგონებ და მალე მოვალო. მეკი ისეც ავთომყოფათ ვითვლებოდი და ჩემს სახლში უნდა დავრჩენილიყავი. მალე სოსიკოს დედა ქალაქში წავიდა სადილისათვის სანოვავის საყიდლათ. წაიყვანა თან მასამსახურე გოგოც. გავისევი ხელი და წამის განმავლობაში ყურძენი დავწურე. მალე სოსიკოც მოვიდა. გავაჩაღეთ ცეცხლი და ფელამუშის დღუღებას შევეუღექით. თან ყურძენსაც შევექცეოდით. ჰო, რა სისწრაუით, რა აღტაცებით, რა სიბეჯითით ვასრუღებდით ჩვენს გუღითადს წადიღს. რა საიდუმლო ხმით ველაპარაკებოდით ერთი მეორეს. რა გუღის კანკალით და გამოუღქმელი შიშით ევლოღებოდით ფელამუშის დაღუღებას. ჰა, ესეც არის, შევასრუღეთ ჩვენი მისწრაფება. გემოთაც ვნახე. შესამჩნევი ფელამუშია. ჩამოვიღეთ მაშინვე ცეცხლიდან. საინზეც გაღმოვასხი. მეორე საინი რომ ავიღე უცებ კარებისაკენ გავიხეღე. გავშეშდი. საინი ხელიდან გამვარდა და დაიფშნა. კარებთან იღგენ სოსიკოს მამა და ჩვენი მეზობღის მეზაღე.

— ააა! აქ თქვენ რა ამბაეი გაქეთ! დღეს შკოღლაში რათ არ წასუღხართ?.. იმ კარდაღში (ქვაბი) რაა? აჰ, დამუნჯდით? ენა არა გაქეთ! ამოიღეთ, თორემ, კი ამოგაღებიებ მე თქვენ ხმას!..

ჩახედა კარდაღში. თვაღებს არ დაუჯერა, ამოიღო კოვზით, მიიტანა ცხვირთან, მერმე გემოც გაუშინჯა.

შემოგვხედა ჩვენ მწყარაღათ. მერმე მეზაღესაც გადახედა.

— ამას რას ეხედაე! ეს „ქაში“ საღ იშოვენეთ? გეყვირა მან.

თუმცა თავში მთღათ აბნეული მქონდა დაღთარი, მაგრამ ამ სიტყვებმა ისე იმოქმედეს ჩემზე, რომ სიტყვის შემოღბრუნებაც კი გაუბეღე. — მაი სრუღებით არაა, ქაში! წამომღდა.



—რაი? შენ ვინ გკითხავს! ხმა გაკმინდვ თორემ, ზე ავაგლეჯ მაგ ყურებს. ეს რა ამბავია ჩემს ოჯახში! რაეა ამიგდეს ბაღებმა!..

მებაღეც ჩაერთა ლაპარაკში. —ეს „ქაში“ კი არა, ბატონო ფე ლამუშია. ალბათ ჩვენი ბაღის ყურძნისაგან მოადუღეს. თქვენ რომ არ დამიჯერეთ, ხომ მართალი გამოდგა!

—რას სულელობ კაცო! სად ბაღნები და სად შუა ღამეში ქურდობა.

—აჰ, ბატონო, ცოტა ყურძენი ავერ დარჩენიათ. ნამდვილი ჩვენი ბაღისაა.

—სად იშოვნეთ თქვენ ეს ყურძენი! დაგვიყვირა სოსიკოს მამამ, თქვით, თორემ მე თქვენ დღეს! ხომ დედამ გიყიდათ?.. წედან რომ გაატლიკინე ენა, ახლა ამოიღე აბა ხმა! რაეა გალყჩებულხართ! წუხელის ხომ არ მოგიპარავთ! თქვით, თორემ მოგკალით ეს არის! არც ახლა იტყვიან? ამ სიტყვებისთანავე წაგვაფრინდა ცალცალ ყურში და იქით აქეთ გაგვაქანია.

—ბატონო, მაგენი არაფერს არ იტყვიან. წამოხმანდით და მე გაჩვენებთ იმ ადგილს, საიდან ჩამომძვრალან ბაღში, რამდენი ვაზი გაუკრეფიათ და რამდენიც ფეხით წაუხდენიათ. თქვა მებაღემ და თავის ბაღისკენ წავიდა. გაჯაერებულმა ვაჭარმა წაგვიყვანა ჩვენ ყურში ხელ ჩაკიდებული და ერთ პატარა ოთახში შეგვაგდო. დავრჩით მართო მე და სოსიკო ჩაკეტილ ოთახში. ყური კინაღამ აგვახლჩა, მარა ერთი წვეთი ცრემლიც არ წამოგვდენია. დიდხანს გაჩუმებული ვიყავით.

—ეჰ, სოსიკო, ხომ ყველაფერი შეგვიტყვეს! წამომცდა მერმე.

—აბა რაი, შეგვიტყვეს და ვაი ჩვენი ბრალი. დღეს მამა ჩემი არც გაგვათავისუფლებს ამ სატუსალოდან, არც საქმელს გვადირსებს და არც სასმელს.

—ამას თუ დავჯაერა კიდევ, კარგია!

—აბა ახლა ხომ არ მოგვკლავს, აწი მაინც დედა მოვა და გვიპატივებს.

—მამა შენს ფელამუში არას დროს არ უჭამია „ქაშიაო“ რომ თქვა?..

—კი, რაეა არა... მარა იქნება მებაღე რომ გვიყურებდა იმიტომ თქვა. ჩვენი გამართლება მოინდომა... ვაი დედა, რა გულმოსულია!

—რა წყეული მებაღე ყოფილა, რაეა მაშინვე შეგვიტყო!

—იმ ქურდმა გაგვამხილა, ვინცხა იყო, დაექცა ოჯახი...
 —გახსოვს, სოსიკო, შენ რომ თავზე დაეცი!
 სოსიკოს გაელიმა. ცოტა სახეზეც შეწითლდა.
 —ჩვენზე უფრო იმას შეეშინდა, ვუთხარი მე ღიმილითვე.
 —არა, ნეტავი რა ვეგონეთ?
 რაცხა ვეგონეთ, იმან კი გაგვამხილა და...

—მარა კი მიბრიგეს, რომ ეკადრებოდა ისე, რა ფელამუში და-
 გვაკარგვია იმ უნამუსომ!.. შეხედე ვეგრ, სოსიკო, აქედან ფელამუ-
 ში ქე მოჩანს! რა ომხივარი აღის!.. ჩვენი სატუსალოს ქუჭუჭანი-
 დან შეენიერთა მოჩანდა ფელამუშიანი კარდალი.

—ვაი სულო, იგი კარდალი ახლა აქანაი მოგვცა!.. ამ ლაპა-
 რაკში რომ ვიყავით, სამზარეულოს კარებს უცვებ უშველებელი
 რუსული ღორი მიადგა. ასუნ დასუნა იქაურობა, აღარუტუნდა,
 წელმოც აიწია და სახლში შეხტომა მოინდომა. ჩვენ ავშოთდით.
 ჩვენ გაკეთებულ ფელამუშში რუსულ ღორს უნდა ჩაეკრა თავის
 უწმინდური ღინგი.



—სოსიკო, დაეიღუბეთ კაცო! ღორი ახლავე შეჭამს, თუ რამე
 არ მოვახერხებთ.

—რაექნათ? ეუყვიროთ მაინც აქედან.

ჩვენ მაშინვე დავეწყეთ ყვირილი და ოთახში ბრაგუნი. ღორმა
 ამაგებზე ყურებიც არ გააპარტყუნა. გადახტა არხეინათ კარებზე და
 ფელამუშს დაუახლოვდა.

—ვაიმე, რაღა ექნათ ახლა!

— კარი გაეტეხათ, ან სადმე გავძვრეთ.

კარი, რაც ძალი და ღონე გვექონდა მივანძრ მოვანძვრიეთ, მაგრამ ვერაფერი დაეკელით. გავიხედეთ იქით აქეთა, დავათვალიერეთ იატაკი და ჭერიც. ეს ოთახი, დიდი ხანი არ იყო, რაც სახლზე მიაშენეს და ერთი კუთხე ჩატუქრავი დარჩენოდათ. მოვინდომეთ ზევით ასვლა. მე ვუჭობაიტე. (ფუზურგულე) სოსიკო სწრაფათ შეცოცდა ოთახის ბანზე და იქიდან მარდათ გადასრიალდა მიწაზე.

— აბა შენ იცი, რაფა მალე მოიტან! დაფუძახე გადახტომის ხანს. წამის განმავლობაში სოსიკო სამხარეულოში გაჩნდა. გამოაგდო გარეთ რუსული ღორი, დაავლო ხელი კარდალს და ჩემსკენ გამოიფრინა.

— სად მირბის ეს უსირცხვილო! დაუყვირა მას მამამ, რომელიც ახლა ბალიდან მოდიოდა. — მებაღემ მას, როგორც მერმე შევითყუეთ, თურმე ცამეტი აბაზი გადახდევია ჩვენს ნამოქმედარში. დაზარალებული ვაჭარი თავის გონზედ აღარ იყო.

— შენ საიდან გაჩნდი აქ? უყვირა სოსიკოს, სად მივაქვს მაგ კარდალი! მე ათუ შენ ვერ მოვატყვიანე, რალა კაცი ეყოფილვარ! ღორს წართვი ლუკმა? იმიტომ გამოაგდე სახლიდან, რომ ფელამუშს შეგიჭამდა? მე შენ ვაყურებიებ სეირს, ჩქარა თოკი მომიტანეთ! წამსვე შეასრულეს მისი ბძანება. — შეჭკარით, მაგრათ შეჭკოქეთ. მაგას ვაყურებიებ რაფარცხა უნდა ღორის ლუკმის წართმევა, მაგ ქურდს, მაგ ავაზაკს მაგას.

სოსიკო ძალაზე გადავა. მაგრამ ხალხმა ბლომათ მოიყარა უცებ თავი. ყველამ ხელი გამოიღო. დაიმორჩილეს სულ ადვილათ. შეჭკოქეს კარგათ და მიწაზე გავდებულ ერთ დიდ ხეზე მაგრათ დააკრეს.

სოსიკომ მართო ყვირილი, ვაი დედა, მიშველეთ, მომეხმარეთო, მაგრამ მშველელი არავინ ჩანდა. მე პირველათ დავაპირე ოთახიდან გადახტომა, მაგრამ ვეღარ შევანერხე ზევით ასვლა, ჩავჯექი ერთ კუთხეში და დავიწყე ტირილი. საბრალო სოსიკო იყურებოდა ჩემსკენ და საშინლათ ყვიროდა. მამა მისმა მოატანია თხელი ფიცარი და ზედ ფელამუში დაასხმევინა. დაუძახა რუსულ ღორს. ღორმა მადიანათ ჭამა დაიწყო. მერმე აიღო ფიცარი და სოსიკოსკენ წაიღო. ღორმა გასდია. ფელამუშიანი ფიცარი სოსიკოს გულზე დაადევა. რუსულ ღორს პირველათ ეს ეუცხოვა, მაგრამ ის უნამუსო გაიტაცა ნდომამ და მოუხრიდებლათ ფელამუშს ჭამა დაუწყო.

სოსიკო ყვიროდა და ყვიროდა. ყურადღება ღორმაც კი არ მიაქცია. მაყურებლები სიცილით კედებოდნენ. გაბრაზებული ვაჭარი გაჰკიოდა.

—ღორისთვის გინდოდა წაგერთმია ლუკმა? ავი შენ! ვაჭამე თუ არა ღორს მაგ ფელამუში შენს გულზე. კიდევ მოიპარავ ყურძენს! კიდევ გაბედავ ქურდობას?..


მე ველარ მოვითმინე ჩემი მეგობრის ამნაირი სასტიკათ დასჯა, დავიწყე ყვირილი!—გამიშვით, სოსიკოსთან გამიშვით მეთქი. მაგრამ გამგონი არაფერ არ გამომიჩნდა,

მე ვურტყამდი თავს კარებზე, ვიცემდი მუშტს ცხვირ პირში, ვიგლეჯდი ბალანს და მანამ არ მოვისვენე, სანამ გონება მიხდილი პირქვე არ დავეცი ჩემს სატუსალოში.-.

ფელამუში მე ახლაც მიყვარს, მაგრამ საკმაოა მხოლოდ მართო სახელი გავიგონო, რომ მაშინვე ტანში ქრუნატელი დამიარს, წარმომიდგება თვალწინ ხეზე მიკრული სოსიკო, რომლის გულზედ უნამუსო რუსული ღორი ჩემ მიერ მოდულებულ ფელამუსს მიერთმევდა, გამახსენდება, როგორ საზარლათ ყვიროდა ჩემი ძვირფასი მეგობარი და გარეშემო ხალხი კი ხითხითებდა და—მაგას ასე ეკადრებო, იძახოდა... ერთს ნაღვლიანათ თავს გაეიქნევ და ბაგეზეც რალაც უცნაური ღიმილი მომივლის.

პართენ გოთუა.





თ. რაფ. ერისთავი

ველა თქვენგანს, ჩემო პატარა მკითხველებო, წაკითხული გექნებათ შვენიერი ლექსი „სამშობლო ხევსურისა“, ბევრმა უთუოთ ზეპირათაც იცით და კიდევ გიმღერიათ:

სადაც კობილვარ, გაგზდილვარ და მისწოდია ისანი,
 სად მამა-მამა მეგულვის, იმთი კუბოს ფიცარი,

სადაც სიყრმითვე ვზეულებარ, ჩემი სამშობლო ის არი.
 არ გავცვლი სალსა კლდეებს უგვდავების სეზება,
 არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.
 ეს ლექსიც გემახსოვრებათ:

შუა ღამე გადავიდა ასტუდა, ასტუდა ზარის რეკა;
 დიდი ზარიც ბოხს სმის აძლეეს, ზარბაზანმაც დაიჭქა.

ეს ორივე ლექსი და ბევრი სხვა, იმისთანავე კარგები—არის) რაფიელ ერისთავის დაწერილი; ეს პოეტი ავერ ორმოც-და-ათი წელიწადია, რაც გამოსულა სალიტერატურო ასპარეზზე და თავის სამშობლოს ემსახურება. რადგანაც ყოველგან მიღებულია, რომ ვინც ორმოც-და-ათი წელიწადი იღვაწებს, მას დღესასწაულს (იუბილეს) გაუმართავენ, ქართველებმაც მოინდომეს ამ ჩვეულების ასრულება და პარველი იუბილე გადაუხადეს თ. რაფიელ ერისთავს, 22 ოქტომბერს, სათეატრო დარბაზში. დარბაზი ლამაზათ იყო მართული; საქართველოს ყოველ კუთხიდან წარმომადგენლები ჩამოვიდნენ პოეტის მისალოცათ; ვინც ჩამოსვლა ვერ მოახერხა, მოსალოცავი წერილი მაინც მოწერა.

ჩამოსულები თითო ოროლა ტკბილ სიტყვას ეუბნებოდნენ მონუცებულს, ბევრმა სხვა და სხვა საჩუქრებიც მიართვა; ზოგი ერთმა კი ფული შეაგროვა სასწავლებლის დასაარსებლათ იმ სოფელში, სადაც პოეტი დაიბადა.



რაფო, როფორც პოეტს ბავშობაში ეძახდნენ, დაიბადა 1824-ს წელს სოფ. ქისტაურში. გამდელი უამბობდა მას ქართულ ზღაპრებს, დედა ასმენდა ვეფხის ტყაოსანს, უმღერდა ქართულ სიმღერებს და უყვებოდა თავის პატარა შვილს ქართველების გმირობას ძველ დროში. ყველა ეს ღრმით ებეჭდებოდა გულში ბავშვს და უღვიძებდა მას სურვილს თავის სამშობლოსთვის სარკებლობა მოეტანა.

რადგანაც რაფო სოფელში იზდებოდა, ის ხშირათ ხედავდა და

ბალ ხალხს, ხედავდა მის მდგომარეობას და გულით თანაუგრძნობდა. შემდეგში ისეთი კარგათ აგვიწერა თავის ლექსებში ხალხის ბედი, ისე დაგვიხატა მისი გულის დარდები, რომ მას ტყუილათ არ დაარქვეს პირველი „ხალხური პოეტი“.

შეძლება არ აძლევდა ნებას პოეტს უზრუნველათ ეცხოვრა და მარტო წერისთვის მიეყო ხელი, იმას ლუკმა ჰურისთვისაც უნდა ეშრომა, მაგრამ მაინც პოულობდა დროს სამშობლოს სამსახურისთვის; არაფერი საქმე არ დაიწყებოდა ისე, რომ მას მონაწილეობა არ მიეღო და სარგებლობა არ მოეტანა; მან დასწერა ქართული თეატრისთვის რამოდენიმე პიესა, აგრეთვე გამოსცა ლექსიკონი, სადაც არის ახსნილი ყველა ყვაფილების, ბალახების და სხვა მცენარეების სახელები, რომლის ცოდნაც ასე საჭიროა ყველა მოზარდ ყმაწვილებისათვის.



უხარ-მახარი ცხოველნი.

სბილო და მისი ჭკუა-გონება

V.

(დასასრული)



ეროპის სახელმწიფოანი თავანთ ზოლოადიური
ბაღებისთვის უფრო ახალგაზდა სპილოებს ყი-
დულობენ, რადგან მეტათ ძვირათ ჯდება ინ-
დოეთიდან ანუ აფრიკიდან სრული წლოვანი
სპილოს გემით გადმოყვანა, თანაც დამორჩი-
ლება ძნელი. ჯერ ერთი წლის სპილოს, რო-
მელიც სიმაღლით უკვე არშინ ნახევარია, სამი

კაცი ძლივს იმაგრებს. ამასთანავე მხეცების საჩვენებელ სახლებს
პატრონები და ცირკების პატრონებიც უეჭველათ ახალგაზდა სპი-
ლოს იძენენ, რადგან პატარის გაწერთა - მორჯულება უფრო ადვი-
ლია.

ამიტომაც ინდოელნი მონადირენი უფრო ახალგაზდა სპილო-
ებს იჭერენ, რომ ევროპიელთაგან ბლომათ ფული აიღონ, მაგრამ
ახალგაზდა სპილოს ცოცხლათ დაჭერა აგრე ადვილი არ არის, სი-

ძნელე იმაში მდგომარეობს, რომ სპილოს დედ-მამა ცოცხალი არ დაგანებებს თავის საყვარელ შვილს, მამ საჭიროა ჯერ დედ-მამა დახოცონ, მერე შვილი წაართვან, ასეცაა. იმ დროს როცა რამდენიმე მონადირე უზარ-მაზარ სპილოებს ებრძვის და ხოცავს, მათი ამხანაგები ქამანდით გამოეკიდებიან ხოლმე ახალგაზდა სპილოს და ცოცხალს იჭერენ. რა რიგი ბრძოლა და ყვირილი ატყდება ხოლმე სპილოთა და მონადირეთა შორის, ამას შეიტყობდით ზემოდ მოყვანილ, სამუილ ბეკერის მოხსრობიდან: ველურ ხალხს სპილოსთან ბრძოლაში ის ხერხი შეეღის, რომ იგინი ცდილობენ როგორმე მარჯვე დრო იხელთონ და სპილოს ორივე ბარძაყის ძარღვები გადასჭრან, რის გამოც უშველვებელი ცხოველი ძირს ბრავგანს მოიღებს ხოლმე და მერე რაღა ძნელია მისი მოკვლა.

ახლათ დაჭერილ ახალგაზდა სპილოებს, ინდოელები თავისებურათ არჯულებენ და აშინაუბრებენ, მერე ამ მორჯულვებულ სპილოებს ევროპიელნი ყიდულობენ და თავის ნებაზე ბავშივით წურთენიან.

ან კი როგორ დაიმორჩილებდა კაცი ამ უზარ-მაზარ ცხოველს, რომელიც კაცზე ათასჯერ ღონიერია, მაგრამ, ხერხი სჯობია ღონესაო“ და სპილოც აკი გრძნობს, რომ კაცი ჭკუითაა მასზე ღონიერა და ამიტომაც ემორჩილება მის ჭკუის ძალას. ის კი უნდა გავიმეოროთ, რომ საზოგადოთ სპილო ძრეელ გულ კეთილი და მშვიდი ხასიეთისაა, თორემ განა არ იცის, რამ თავის მასწავლებელზე ანუ მეჯინებე-მატარებელზე ათასჯერ ღონიერია და მამასაღამე რა დროსაც უნდა შეუძლია ვაითავისუფლოს თავი ტყვეობიდან. მაგრამ სპილო ამას იმიტომ არ ჩაიდენს ხოლმე, რომ ადვილათ ეჩვევა ადამიანს და როგორც გონიერ ცხოველს, უყვარს გონიერ ადამიანებთან ცხოვრება და მათთან მეგობრობა.

აი ერთი შემთხვევა, რომელიც აშკარათ გვიმტკიცებს, რომ სპილო ისეთივე ერთგულია კაცისა, როგორც ძაღლი.

ქალაქ პრაგაში სპილოს ათამაშებდნენ ცირკში. მაყურებელი საშინლათ ბევრი მიაწყდა, მოქანცული სპილო და მისი პატრონი წარმოდგენის შემდეგ ტკბილ ძალს მიეცენ. არა ჩვეულებრივმა ხმაურობამ გამოაღვიძა სპილოს პატრონი. იმვე წამსვე ფულის ყუთი გახსენდა, რომელშიაც ათას მანეთამდენ იმ დღის დახლი შეენახა. მაშინვე საჩქაროთ აუშვა სპილო და ამ ბნელ ოთახში საშინელი ყვირილი ატყდა და გაცხარებული ბრძოლის ხმაურობა

უზარ-მაზარი ცხოველნი

მოსმა, სპილოს პატრონმა წუმწუმას ხელი გაჰკრა, მიინათა სანთელი და თვალ წინ შემდეგი სურათი წარმოუდგა: ვიღაც უცნობი კაცი, ხორთუმში მაგრათ დაბლუჯული, დაკლულ ქათამივით ფთხიალებდა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა ცდილობდა განთავისუფლებულიყო. მაგრამ შენც არ მომიკედე, სპილო მაგრათ უჭერდა თავის მძლავრ ხორთუმს, რომელიც ქამარივით შემორტყმოდა კაცს. დატყვევებულმა ვაჟბატონმა თავი რო ველარ დაახწია, ხორთუმს კაწრა და ჩხაპნა დაუწყო, სულგრძელმა სპილომ ეს იუკადრისა, მით უფრო რო კაცს არას უშავებდა, ამიტომაც კედელს თავი უხალა, რალა გაეწყობოდა ქურდი დაემორჩილა სპილოს სურვილს და სულ განაბული ელოდა თავის ბედისწერას. გონიერი ცხოველი დინჯათ შეჰყურებდა თავის პატრონს, თითქოს ეკითხებოდა: მიბძანე რა ვუყუ ამ ავაზაკსაო? მაინც იქამდე ეჭირა ხორთუმში, ვიდრე პოლიცია მოვიდა, სპილომ მარჯვეთ გადასცა პოლიციელებს თავის მსხვერპლი. თურმე ნუ იტყვიეთ ამ ქურდ-ავაზაკ კაცს დიდი ხანია პოლიცია დაეძებდა, სპილომ ერთი კი გადაათვალღიერა წინ მდგომი ხალხი და მერე თითქოს იფიქრა: მე აქ საქმე აღარა მაქვსო, მე ჩემი მოვალეობა უკვე ავასრულეო, მედიღურათ გამობრუნდა თავის ბინისკენ, დაკლებულის ძილის შესასრულებლათ.

რამდენათ მორჩილი და გამგანი ხდება სპილო თავის პატრონისა, ამას აშკარათ ვხედავთ, როცა გაწურთენილ სპილოს ათამაშებენ ხოლმე ცირკში, მხეცების სახლში და ზოოლოგიურ ბაღებში, საკმაო კაცმა მოთმინება იქონიოს და გონიერ სპილოს რასაც უნდა ასწავლის, თავის ნებაზე გაწურთენის.

რა რიგათ ვითარდება სპილო ჭკუა გონებით, და რა საკვირველ მოსაზრებას გამოიჩენს ხოლმე ამას გვიმტკიცებს შემდეგი უტყუარი ამბავი:


როგორც ვიცით, სპილოს ხორთუმის ბოლო თითის მსგავსათ უთავდება, რომელიც ძრიელ გრძნობიერია და რომლითაც ადვილათ აიღებს ხოლმე წრვილმან ნივთებს—ქალაღის ნაფლეთს, უზალთუნებს და სხვა...

ერთხელ როდესაც გაწურთენილ სპილოს ცირკში ათამაშებდნენ, მოხდა ისე რომ გადაგდებული უზალთუნი უხერხულ ადგილს დაეცა—ისე მიეკრა კედელს, რომ სპილომ ხორთუმში ველარ მიუყენა, ბევრ ნაირათ ეწვალა და აწვალა თავის ხორთუმში, მაგრამ უზალთუნი მაინც ვერ აიღო. მაშინ სპილო შედგა რამდენიმე წამს უნ-

ძრეველათ. აშკარა იყო იმას ფიქრობდა, თუ რა გვარ უშველოს საქმეს. ბოლოს ასწია ზევით ხორთუმი, პირდაპირ გაიშვირა, დაუმიზნა და უზალთუნის ცოტა ზევით, საშინელის ძალით შეუბერა კედელს; ხორთუმის ქარი კედელს ეჯახა, მერე უკან გამოიწია. უზალთუნიც გადმოისროლა და ისე ახლო მიგორდა სპილოსთან, რომ მისი აღება სული უბრალო საქმედა იყო.

აქ აშკარათ ჩანს სპილოს ჭკუის ძალა და იმგვარი გასაოცარი მოსაზრება, რომ არამიანსაც კი შეშურდება.

უნდა შევნიშნოთ, რომ სპილო ბუნებითად ძრიელ მოყვარულია ტკბილეულისა და შაქრის საშინელი მუსუსია. გამოცდილი მწურთენელი ამ გარემოებით სარგებლობს, ალერსიანათ, ტკბილათ ექცევა სპილოს და ათას ნაირ ტკბილეულობით წაახლისებს ხოლმე, სპილოსაც ის უნდა; ოღონდ შაქარი აჭამეთ და ყოველ ნაირ ჯამბაზობას ისწავლის. გონიერი სპილო რასაც გინდათ სწავლობს: ზარებს რეკავს, ცეკვაობს, ორ ფეხზე დგება, ქანაობს, ბოთლებზე დაიარება, ყირაზე დგება, სკამზე დაჯდება, არღანს და დაფას დაუკრავს, ველოსიპედით დასერიანობს და სხვა ათასნაირ ფოკუსებს ახერხებს, რადგან იმის იმედი აქვს, რომ ჯალდოთ პირს ჩაიტკობს.



უწინ, რომეღ თ სპილონი გამოჰყავდათ ცირკის ასპარესზე და საშინელ მხეცებთან, ლომ—ვეფხთან, აბრძოლებდენ, ამასთანავე მაშინდელი მსახიობნი საკვირლოთ წურთენიდენ სპილოებს, ჩხირით ანა-ბანას აწვრინებდენ, ჯამბაზივით გაქიმულ თოკებზე დაჰყავდათ, ოთხ სპილოს მხეხუთე მიჰქონდა ხოლმე ვითომ და ავადმყოფიანო,

ცეკვაობდენ, სადილობდენ მდიდრათ მოწყობილ სუფრაზე დიდის ზდილობით და თავაზიანობით.

მაგრამ სპილოს განა მხოლოდ ფოკუსების შნო აქვს, რომ ხალხი აცინოს? სპილო იქამდე გონიერი ცხოველია და საქმის მოსაზრებაც იმდენათ შეუძლია, რომ ნამდვილი თანაშემწე უხდება ადამიანს მრავალ ნაირ საქმეში და შრომაში.

ინდოეთში სპილოთი ზიდვენ ტვირთს ისე, როგორც ჩვენში ჩალვადრები ცხენით და ჯორ-აქლემით, გუთანში აბმენ, აზიდვინებენ ტივის ხეებს, ქვას, ტალახს და სხვა სახლის მასალას. მეფენი და დიდებულნი, ანუ რომელიმე ინდოელი რაჯი (თავადი), სპილოს სადღესასწაულოთ მორთავენ ხოლმე მდიდრულათ ნაკერ ყაჯრებით და სხვა ძვირფას სამკაულებით, მერე შესხდებიან ზედ და დიდის ამბით დასეირობენ ქალაქის ქუჩებში, ხალხის გასაოცებლათ, ზოგჯერაც დაგვილი სპილოებით ვეფხვებზე ნადირობენ.

ძველს დროში სპილოებს დიდი მიზნენელობა ჰქონდათ ომის დროს. მაგალითად გამოჩენილი დარიოსი სპილოთა შემწეობით ეომებოდა ალექსანდრე მაკედონელს, მეომარი სპილო მთლათ ჯავშნებით იყო შემოსილი და ზურგზე უშველებელი ციხე კოშკი ედგა, საიდანაც ჯარის კაცი შეილდ-ისრებს და მახეილებს ისროდენ მტრის ბანაკისკენ, თვით სპილონიც გულადათ ებრძოდენ ჯარის კაცებს, მაგრამ ის კი ველარ მოახერხეს, რომ სპილოებს ერთმანეთთან ებრძოლათ.

დღესაც ინდოეთში ინგლისელები სპილოებს აზიდვინებენ არტილერიაში ტყვია-წამალს, სურსათს, კარვებს და სხვა ათასნაირ ტვირთს, აგრეთვე ზარბაზნების გადაზიდვის დროს, ან აღმართში ასატანათ ცხენებთან ერთათ სპილოებსაც მოუბმენ ხოლმე, რადკან თითო სპილოს ათი ცხენის ღონე აქვს.

ილიკო

წყარო



უძინწინ დავიბადე, ერთი სული მივემატე
 ქვეყანას. ჯურღმულოდან ამოვჭყვავ თავი და
 ნათელით შევიმოსე. ჩემ სიხარულს სას-
 ღვარი არა ჰქონდა, ვსტოდი და ვთამაშო-
 ბდი. ისეთ ნაირათ ამოვისროდი ხოლმე ი
 კენჭებს, კსაში რო მენხირებოდენ რო სუ
 თავ-ბრუს ვახვევდი. ვაწროწიალებდი, ვა-
 წროწიალებდი და მერე შორს გავტოვრცნიდი ხოლმე.
 კსას ვისუფთავებდი, ვილაძაშებდი. მინდოდა უმაღ, უსუნ-
 თქველათ ამოვსულიყავი დედა-მიწის სურგსე და თავისუ-
 ფალი ვოფილიყავი. უკანასკნელათ მოვიკრიფე ჩემი ძალ-
 ღონე, შევებრძოლე დედა-მიწის ზედა-კანს, სავერდივით,
 აჭრელებულს, ზიხილ-ზიხილებით მორთულ-მოკასმულს
 და გავიმარჯვე. მაძწეინდა ამდენი ხანი სიბნელები ვოფ-
 ნა, უგზო-უკვლოთ ხეტიალი. დაბადების უმაღვე ზიხილ-
 ზიხილებს შევცინე, შემომცინეს და მოვასხენე: აი ახლო
 კეოლებით მეთქი, აღარავის ხვეწნა არ დაგჭირდებათ,
 მუდამ საფხულს არ მოგაკლებთ ცვარს, წელის წეურ-
 ვილს მოგიკლავთ და გაღაღანებთ.

დავიბადე და რომ იტყვიან კარგი ბედი დამეუბა. ვარ



ჩემთვის თავისუფლად, არავის რას უძლი, არავის წყენა-
ში არ შევდივარ. პირიქით ვეკლას ესამოგნა ჩემი დაბა-
დება, მეტადრე იმ ხეებს, რომელთა ძირშიაც მე დავიდე
ბინა ზამთარ სსაფხულთ. რიცხვით თუძცა ცოტანი
არიან, მაგრამ კარგნი არიან. ხელი ხელს ვადახვეულნი
მეაღვრებინ, შემომხარინ და მუდამ თვალ-წარბში შე-
მომცქერინ. ბევრით განსხვავდებიან სხვა ხეებისაგან, შორს
მთის წვერზე რა აუუღებულან და ცისთვის მიუბჯენიათ
თავი, მართალი უნდა ვთქვა რომ, თუ ისინი არა ყოფი-
ლიყვენ და იმათი იმედი არა შენოდ, ვერ ვავებდავდი
თავის ამოყოფას; ისევ იმ ჯურღმულში, ისევ იმ სიბნე-
ლეში უნდა ვყოფილიყავი და ვინ იცის სამუდამოთ. ესლა
კი მე ამათით ვცხოვრობ. და ვცოცხლობ, ესენი კიდევ
ჩემით. პირველ დღიდანვე დაიწვეს ჩემხედ ზრუნვა; პირ-
ველ დღესვე მხვენეს თავიანთ მფარველი კალთის ძალა.
ა.ა რა ნაირათ. ვაცხარებული თავიდან რა ვიმორებდი
მანჩობელა ზატარ-ზატარ მიწებს და კენჭებს, უცებ ცი-
დან გამოქანა მზის სხივი და მოინდომა ჩემი ვადაუღაზვა.
შიშით ცივმა ოფლმა დამასხა და კანკალი დამაწებინა.
სწორედ ამ დროს მამეშველენ ჩემ თავით რა ჩამწკრივე-
ბულიყვენ, ვადამაფარეს თავის ზატარ, ჭრელი და მწვა-
ნე კალთები და დამისწეს პირველი და უგანასკნელი გან-
საცდელისაგან. იქვე შორი ახლოს კი ვამდგარიყვენ სხვა
ხეები და სიცილ-კასკასი დაიწვეს, გული მამიკლეს. ჯერ
აქ ცოტაო, ზატარ ქვეით ვასწი ნახავ რა დღეც დაგად-
გებო. არა, როცა არავის არაფერს ვაწვენ, არაფერს დაუ-
ძავენ, ვინ რა უნდა მიეოს, ვინ უნდა დამტუქოს?

მივდივარ ჩემთვის მივსტუნაობ და გსაზე ვეკლას სა-

ლამს ვამღეგ. აგერ ფეს-აგრეთ ჩავიარე სეებით ვად-
 ჭედელ მთის ძირბაში, ვკვდილობდი არაფერი მეწეინე-
 ბინა, არ გამეჯავრებინა და წავსულიყავი ჩემ კსაზე. ვე-
 ჩქარებოდი მეგობრებთან შესვედრას და ვადაკოცნას. მაგ-
 რამ შემომესმა ბრახუნი, ლაწა-ლუწი და სათქანი. წავუგ-
 დე უური, გამობრძანდა შავწვეროსანი, კადმოილო მხრი-
 დან რაღაც მახვილი და მიაგლო იქით მწვანეზე, მერე
 დაეჭინა მუხლებს და ის თქვენ მტერს რა დღეც მე და-
 მადგა. დამეწაფა და დაშრობა-განადგურება დამიპირა. მე
 ვაუძალიანი, მოვიკრიფე ჩემი ძალ-ღონე და ჩემი ვავი-
 ტანე. მერე წამოდგა თუ არა დამიწყო მასხარად აგდება.
 ნეტა რა გინდა, რას იჭიმებიო, ნუ თუ შენც წარმოვიდ-
 გენია ვისმე რამეს ვარკებ, შევმატებო, ვაი შე საწყალო,
 საბრალისოო. „კოჭმა კუდი გაბბსიკა მეც ნახირ ნახირაო“.
 შენც გინდა გამოჭეო თავი სადმეო. გირჩევ აქვე სადმე
 უფსკრულში ვადვარდე და თავი დაიღუპოო. არა შენ ვერ
 მოესწრობი დედამიწის ნაპირების დამშვენებასაო. შენ რა
 ხარ და შენი საქმე რა იქნებაო, ამან ესა სთქვა, აჭევენ
 ზიზილ-პიპილებიც. აქამდისინ თუ სისხარულით მამეკებენ,
 ესლათ თავი ამარიდეს და უკმაყოფილოთ დამიწეეს ცქერა.
 შეჭქენეს ბუტ-ბუტი. ჩვენ გვეგონა კარგი რამ იქნებოდი,
 კვასიამოვნებდი და დღე-გრძელს კვამეოფებდიო. არა თა-
 ვი დაკვანებე შენ შენთვის და ჩვენ ჩვენთვისაო. ის კი
 აღარ მოიფიქრეს თუ ავჩქარდით, ცუდათ მოვიქეცით, ჩვენ
 უნდა ვაკვამხნევებინა, ძალ-ღონე მიკვემატებინა და არა-
 ვისთვის არ დაგვეჩავგრინებინა. პირ იქით სსვის მიბამვით
 ჩამქოლეს და ჩამტიტეს.

აი თურმე რა მამელოდა და რა ნაირათ ეკვეცებოდა

წ ე ა რ ო

ფრთები ჩემ სიხარულს. არა უშავს რა მე მაინც გულს
 არ გავიტყვ, ასე ძალე სასოებას არ წარვიკვეთ. მე ჩემსას
 ვეცდები. ვინც სიმწარე არ იგება, იმან სიტკბოება ვერ
 დააფასაო. ოფლით ნაშოფნი ლუკმა გემრიელია, საფარელი
 და ძვირ-ფასია. მე, როცა შეუერთდები და შემოვიერთებ
 სხვა ჩემ თანა-მოძმეებს, მაშინ ვიქნები ეველას ჰასუსის
 გამცემი, სიტყვის მამჭრელი, მაშინ ვერაზინ შემაძინებს,
 ვერაზინ ამათროღლებს, ეველას გულ-და-გულ დავხვდები.
 აბა მაშინ დამიდექ წინ შავ-წვეროსანო და მაშინ აიყო-
 ლიე ზიზილ-ჰიჰილები.

ან—ნა...



პ ე პ ე ლ ა

(თარგმანი)



აგრათ მოიხურე ბადის კარები, უთხრა მასწავლებელმა თავის ჰატარა მოწაფეს, თორემ ვინიმე ღორი შეძვრება და სულ ერთიან გაგვიფუჭებს ბაღს. დინკით ძთლათ გადათხრის აქაურობას, კვლებს და მწვანელიეულობას სულ ძირიანათ. ამოაგდებს. ღორს როგორც იქნება გაუფრთხილდები და არ შაუშვებ ბაღში, მაგრამ ქათმებს კი ვერაფრით მოიძორებ თავიდან—პირდაპირ ღობესე გადაფრინდებიან ჭიებისა და ჭიაუელების საძებნელად; იმათ ზომ უუვართ მარცვლების ძებნა პირის ჩასაკემრიელებლად.

—განა ქათმებისაგან არ შეიძლება გაუფრთხილდეთ ბაღსა? უპასუხა ბავშმა, კავაკეთოთ დიდი ხის დედოფალა, ხელში ჯოხი დავაჭერინოთ და პირისაზე ათასნაირათ მოუთხუპნოთ შესაძინებლათ... ქათმებს ეგონებათ, რომ კაცია ბაღში ჯოხით ხელშიო და აღარ შემოვლენ.

—ეგ მარტო ქათმებს კი არა, სხვა ფრინველებსაც შეაძინებს; მაკალითად ჩიტებს, შოძიებს, ვვაგებს, ჭილ-

ევაგებს, რადგან ესენიც დაემებენ სოლმე ბადში მარცვლებს, სილსა სჭამენ და კიტრის გამოღრუტნაც უეგართ სოლმე, მაგრამ ისე ძალე მიეხვევიან ამ დედოფალს, რომ ბოლოს და ბოლოს თავისუფლად დასსდებიან ზედ თავზე. — მიუგო მასწავლებელმა

— მაშინ, დედოფალს მაგიერ ბოსტნის ბებერა ჩავარჭოთ და როცა ამასაც მიეხვევიან, ისევ დედოფალა. ასე ამ ნაირათ შევცვალოთ სოლმე ერთი მეორით.

— კარგი, როგორც გინდა, ისე მოიქეც დაჭეახულად მასწავლებელი.

ერთხელ ემაწვილი კომბოსტოს კვლებ შუა დადიოდა და თვლიდა კომბოსტოს თავებს. უცბათ რადასაც თვალი მოჰკრა და დაუწყო შინჯვა. მერმე მოჰკლიჯა კომბოსტოს ფოთელი და გაძალებული გაიქცა მასწავლებელთან.

— მასწავლებელო, მასწავლებელო! ერთი უეურე რა ნაირი ძატლი ვინავე კომბოსტოს ფოთელზე. რა ნაირათაა დაჭვრეთილი ეს ფოთელიც, თითქო საცერიაო.

— ე მაგ ძატლისგანაა, დაჭვრეთილი... ახლა არ ვიცი რაღა ეძელება ჩვენ კომბოსტოს. ძთლად გაგვიოხრებს...

— მაშ თუ სულ ერთიან შესჭამენ ჩვენ კომბოსტოს, რაღა გეზველებათ სომ ველარაფერს გაჭედიტ და მარხვისათვისაც აღარ გვექნება შენახული წნილი? წვენით დაწყო ლაპარაკი პატარამ და დააწირა ძატლის გაჭედეტა.

— ეველა ეგ შესაძლებელია, ჩემო კარგო, მაგრამ მაგ ერთი ძატლის გაჭედეტით სხვას რას უშველი. მე აი რას გეტყვი: საცა აგრე გაფუჭებული და დაჭვრეთილი ფოთო-

ლი ნახო, მაშინვე მოგლიჯე და გადაგდე, რომ სხვაზე-
დაც არ გადაცოცდეს მატლი. ეს მატლი კი შევინახოთ
სახლში.

მასწავლებელმა იძოვა ჰატარს ეუთი, ჩადო შიკ კომ-
ბოსტოს ფოთოლი და ზედ მატლი დაასვა.

— აი ჭხედავ, რა ბეწვიანია და შავი წინწკლები აე-
რია ტანზედა — უთხრა ემაწვილს. ეუთის თავს ჭუჭრუტანა
გაუკეთოთ და მაგრად დავსუროთ, რომ ჭუჭრუტანიდან ჭაე-
რი ჩაუვიდეს და აღარ მოკვდეს.

მეორე დღეს მაშომ ახადა ეუთს თავი, ჩაიხედა და
ნახა, რომ მარტო კომბოსტოს ფოთლის ძარღვებიდან
ეუთში — მატლს შეეჭამა ფოთოლი.

— შენ გეტყობა, ძალიან ბევრსა ჭამ. ასეთი ჰატარს
და ამდენი ჭამა გაკონილა? ლაპარაკობდა გაკვირვებული
ბავში, მაგრამ გაიქცა მაშინვე ბაღში და მოუტანა ახალი
კომბოსტოს ფოთოლი.

ერთხელ ემაწვილი ჩვეულებრივ მივიდა ეუთთან, ახა-
და თავი და ნახა, რომ უკანასკნელათ ჩადებული ფოთო-
ლი ხელუსლებელია და გარემემო შემოხვეული აქვს ძა-
ფები. თითონ მატლსაც ფერი შეცვლია და უძრავათ ძევს.

— მამკვდარს საწვავლი, თქვა დაღონებულმა ბავშმმა.

— დამშიდდი, კი არ მოკვდა, ჰარკში უნდა გაესვი-
ოს. ესლა მაგას აღარც სმა უნდა და აღარც ჭამა, დიდ-
ხანს გასძლებს უსაჭმელოთ. იმიტომა ჭამდა იმოდენას,
მატლი რო იყო, ახლა აღარა უნდარა. აღარა უშავს რა.
დაამშიდა მასწავლებელმა.

ბავშმაც დახურა თავი ეუთს და ყოველ დღეს ათვა-
ლიერებდა ხოლმე ჰარკში განხვეულ ჭიას. სულ მუდამ ერთ

და იმავე მდგომარეობაში იყო. ბოლოს მოწეინდა, და-
 ნება თავი და კარგა ხნობამდის აღარ აუხდია ეუთის-
 თვის თავი

ერთხელ ბავში ფანჯარასთან იდგა გაუჩიებული. უც-
 ბად ეუთში რბლამაც დაიხმაურა და ეუთი შეინძრა. მივი-
 დბ ეუთთან, ახდა თავი და ეუთიდან კი უცეებ შვენიერი
 თეთრი ჰეჰელა ამოფრინდა, მარტო ფრთებსე ევარა შავი
 წინწკლები და დაიწყო ლამახად ფრენა.

ან — ნა.





გულ ვრფელი თედო

(ფრანგულიდან გადმოღებული).

თედომ იზოგა თავისი დის ოსანში მძივები, კრიბ-ლოსანი გაწვევტოდ და მარცვლები დაფანტულიყო. დასედან თედომ წითელ ვვითელ მძივებს და კაიფიქრს.

ახლა კი მე ვიცდი, რასაც ვიქ! წავალ და დავთესავ ისე, როგორც ამას წინეთ დედა ჩემმა ჰურის მარცვალი დათესა და თქვა: ამოვა ბეფრი, ბავრი ჰურიო! მეც ამ მარცვლეის მავივრათ ამოძივა ბეფრი, ბეფრი მძივები! ავასნავ კრიბლოსანს და ჩემ ჰატარს დიკოს ეელზე ჩამოვკიდებ.

თედო სტუნვით კაიქცა ბაღში, აიღო ჰატარს ჯონი, ამოთხარს მიწა ისე, როგორც მისმა დედამ და შიკ ჩაფულა სამი ვვითელი მძივი, მეორე ადგილას ორი ლურჯი და ასე ეველა მძივები, რამდენიც კი ჰქონდა.

მეორე დღეს თედო წავიდა სანახავათ, მწვანეთ სომ არ ამოსულანო, დედამ რომ მარცვალი ჩაფულა, მწვანეთ ამოვიდაო.

მაგრამ ვერს ნახარს.

მეორე მოიაზრს, ჯერ ადრეაო, დედამ რვა დღე-

ზე ნახა მწვანეთ ამოსული და უჩვენა მას, როგორ გადი-
დებულიყო მარცვალი და იქიდან გამოსულიყო ჰურის
ფესვები.

თედომაც ერთი კვირა უცადა...


მაგრამ ვერც ახლა ნახა რა.

თედომ ამოთხარბ ჩაფლული მძივები და ნახა რომ
მძივი ისევ ისე იღო მიწაში, არც გადიდებულიყო და
არც ფესვები უჩანდა.

გაჯაფრებული გაიქცა დედასთან და ჰკითხა: რატომ
მძივი, როგორც ჰურის მარცვალი, ისე არ ამოვიდა?

დედამ აუხსნა რომ მხოლოდ ის მარცვალი გამომ-
დებს ნაყოფს და ამოვა მიწიდან, რომელიც მიწიდანვე
ამოსულია და დაათესვინა სიმიდის მარცვალი; ორ კვი-
რასე მშვენიერი სიმიდი ამოვიდა.

თედოს სინარულს სამზღვარი არ ჰქონდა.





ანდაზები

(ქართლში გაგონილი და ჩაწერილი ნ. ბარნაბიშვილისაგან)

დღე მუხვალზე, კაცსაო თოვლი მიადგა კარსაო.
 ბეერის მჭამელმა, ცოტაც ველარ ჭამაო.
 ობოლო! ვის ერჩი, ვინც გამზარდაო.
 აფრინე ალალი, რაც არ არის, არ არი.

გამოცანები

(წარმოდგენილი ვანო თედოშვილისაგან)

ერთი რამ არის ქვეყანას უჩინარი და ხმიანი;
 ზღვასა და ხმელსა დაანგრევს, რომ მოუწდება ტრიალი,
 ზოგჯერ ნატურიან მოსელასა, ზოგჯერ უქნია ზიანი.

(ჩაწერილი ლ. ჩ—საგან)

სხვა და სხვა გვარი რამ გვარსა, შეერთებითა ბადებენ,
 შობილს უშობენ, მშობელზე მეტადრე დააფასებენ,
 გაზდიან ასათუთებენ, სასჯელსაც შეაპარებენ,
 შენ ბრძანე ესე რა არის ანუ მას რას უწოდებენ.

ერთი რამ უცხო ცხოველი აქა და ყოველ კიდესა,
 ბოძალი აქვს და ვერ ისერის ზურგს უკან აიკიდებსა,

მიწას თხრის, მალლა აიტანს, შეილთათვის დაიუნჯებსა,
მისი ხმა ნათლის მცემელსა, აქებს და განადიდებსა.

ხ ა ლ ხ უ რ ი

(წარმოდგენილი ნ. ბარნაბაშვილისაგან)

ობლის კვერი ცხეაო, გვიან გამოცხეაო,
როცა გამოცხეაო, კარგათ გამოცხეაო.

ვინ მოჰკლა კობტა ბელადი, ეწია გულის ნებასა,
იარალი ვინ აჰყარა ნეტა იმისა დელასა?

მოსიამა ლეკო მოჰკლა, ვერცხლისა ყანწი აჰყარა,
ნეტა მისთანა დაელასა სამიოდ კიდევ შემყარა.

ა მ ო ც ა ნ ა

| | | |
|--|--|--|
| | | |
| | | |
| | | |

ამ ოცდა ოთხ ჩხირს:
გამოაკელით რეა, ისე,
რომ ორი კვადრატი დარჩეს.

ა კ რ ო ს ტ ი ხ ი

(წარმოდგენილი ივ. ინასარიძისაგან)

იყავ და ჰჩანდი შენ წინათ ჩვენში
ლხინსა და ჭირსა შუა იყოფდი,
იყავ და ახლა კი აღარ ჩანხარ,
არ გვესმის სიტყვა გულს რომ გვიტკობდი.
ჭირის უფალი ჩვენის ერისა,
აღარ გვეცემს ხმასა, არ გვეკარება,
ვიციო, მოხუცდი, მაგრამ კი გვეჯერა,
ჭირს შენი გული არ გაუტყუდება.
აღძარი ბაგე და მოგვაგონე


ვალი რომელაც ვერ შევასრულეთ;
 აბნეულს ერსა კვლავ ეპატრონე
 ძით შეითვისე და უერთგულე.

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი შ. მღვიმელისაგან)


პირველი არის ნადირი,
 ქათმების დიდი მტერია,
 ისე დაძვრება ეშმაკი
 თითქოს იქ არაფერია.
 მეორე ყველა ტაიჭის
 ბუნებით სამკაულია,
 უმისოთ ცხენი არ ვარგა
 უშნო და უფერულია.
 მთელი კი არის თვისება
 კაცისა უპირულისა,
 ფლიდის, ცბიერის, ორპირის
 ხასიათ დაფარულისა.

ქ ე ჯ უ ს ი





1



2



3

4

5

6



№ IV გამოცანების ახსნა:

- 1) აღდგომის წითელი კვერცხები. 2) თარი. 3) აზობა.
- 4) ფშატი.

ისტორიული აკროსტიხი: თემურ ლენგი.

შარადა: ქართველი.

რებუსი: ის უფრო ბედნიერია ვინც მამულისა მცველია. ვინც თავსა მისთვის არ ზოგავს და მისთვის წამებულთა.

რებუსი და შარადა ახსნეს: ყვირილაში—ელისო ბარბაქაძემ. აზურგეთში—ოსკანის უკოლის მოწაფემ მოსე ნინიძემ. თელავის სამოქალაქო სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფეებმა: სოლომან გოშაძემ და იაკობ ლაგაზიძემ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლის



XXVIII Г. ИЗД. О ПОДПИСКѢ на 1896 ГОДЪ. XXVIII Г. ИЗД.
 НА ЕЖЕМЪСЯЧНЫЙ

ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ ДЛЯ ДѢТЕЙ ШКОЛЬНОГО ВОЗРАСТА

„ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“

съ приложеніемъ „Педагогическаго Листка“

ДЛЯ РОДИТЕЛЕЙ И ВОСПИТАТЕЛЕЙ.

Въ 1896 году „ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“ вступило въ 28-й годъ своего существованія.

„ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“ одобрено Учебнымъ Комитетомъ Собственной Его Императорскаго Величества Канцеляріи по учрежденіямъ Императрицы Маріи, и Главнымъ Управленіемъ Военно-Учебныхъ Заведеній включено въ каталогъ книгъ для чтенія воспитанникамъ кадетскихъ корпусовъ; Учебнымъ Комитетомъ Министерства Народнаго Просвѣщенія одобрено для ученическихъ библиотекъ среднихъ учебныхъ заведеній, городскихъ и уѣздныхъ училищъ.

При журналѣ „ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“ издается „ПЕДАГОГИЧЕСКІЙ ЛИСТОКЪ“, выходящій четыре раза въ годъ отдѣльными книжками отъ 3 до 5 листовъ. Большая часть статей „ПЕДАГОГИЧЕСКАГО ЛИСТКА“ посвящается домашнему воспитанію, элементарному обученію и разработкѣ вопросовъ о чтеніи дѣтей. Въ „ПЕДАГОГИЧЕСКОМЪ ЛИСТКѢ“ помѣщается периодическій указатель дѣтской и учебной литературы, содержащій въ себѣ краткое описаніе и разборъ вновь выходящихъ книгъ для дѣтей, учебниковъ, руководствъ и пособій для родителей, воспитателей и учителей.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ГОДЪ:

| | | | | | |
|----------------------------|-------------|---|-------------|------------|-------------|
| Безъ доставки въ Москвѣ | 5 Р. | Съ доставкою и пересылкою во всѣ города Россіи | 6 Р. | За границу | 8 Р. |
|----------------------------|-------------|---|-------------|------------|-------------|

На полгода—3 руб., на четверть года—1 руб. 50 коп. Допускается разсрочка по третямъ и полугодіямъ.

Подписка принимается въ конторѣ редакціи: (Москва, Тверская ул., д. Гиришмана, кн. 40), и во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ обихъ столицъ и главныхъ городовъ Россіи.

Издатель Я. В. Борисовъ.

Редакторъ П. В. Голыховскій.